



619  
1989

ლო, საპარალო

619  
1989  
ქართული  
ბიბლიოთეკა

# დროვა

№ 9 საქვაგუარი. (393), 1989

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან


ყოველთვიური საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიბერალურ-  
სამხატვრო ჟურნალი

ნ თ მ ე რ შ ი ა:


თარ მინჰლაბე. სკოლა  
ს ს ს ზ ლ ი

საქართველოს სსრ ხელოვნების  
სახელმწიფო მუზეუმის საგანგებო  
გ ა მ ო უ ე ნ ა

ალო!... რაც გასსურებდა  
ჩვენი ხეები მოგვლინ.  
მეც ვერ საუკუნოდ  
ჩუნი ჩუნი მოგვლინ.



1918-1921



გამოიწერეთ!


ISSN 0130—1624

# დროვა

საქვაგუარი  
№ 9 1989

თბილისი

# დიდი დილომი



ფოტო ბონდო დვალიშვილისა.





619  
1989

ქართული  
საბჭოთაო

# დროშა

№ 9 სექტემბერი, (393), 1989

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

სოციალისტური საზოგადოებრივ-  
პოლიტიკური და სალიბერალური-  
სამხატვრო ჟურნალი

## ნოემბერი:

ოთარ ჭინჭლაძე. სკოლა — „სინა-  
რული სახლი“.

ნათელა გიორგოზიანი. საზარელი  
სიზმარი, ანუ ერთი დღე არასრულ-  
წლოვანთა კოლონიისში.

ზოთა გორგოძი. გოლოთქმა.

დავიცვამთ ღირსება.

მეთევან მელიქიძე. ჩაუღილი გა-  
კვეთილი.

საქართველო უცხოეთში.

იამფა ბასილია. ეროვნული გიგლი-  
ოთაა.

არიანა ეფრონი. სამი შეხვედრა.

ჯემალ მახრიშვილი. შაბანასკნელი  
მოქიანის არ იქნება.

ნოდარ შამანაძე. გამართლება.

ლელა გოჯგუა. კიბე.

კომბური იაღბარი.

ვანტასტიკური პროცესი.

გივი გამრეკელი. რჩება ოთხი კრი-  
ტიკული.

ნანა ნაცვლიშვილი. კლაპატის  
თვალსაჩინო ოსტატი.

საქართველოს კა ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1989 წ.

## მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე



## სარედაქციო კოლეგია:

ბუნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ზარნი-  
შვილი, ვასილ გვახაძე, ნათელა გიორგოზი-  
ანი, ოთარ ლეგიბრაშვილი, ვახტანგ ესპანელი,  
ჯემალ მახრიშვილი, დინარა ნოდარ (მხატვარ-  
რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

მცხეთა-თბილისის სამხედრო გზის მარჯვენა მხარეს ახალი საცხოვრე-  
ბელი უბანი — დიდი დილომი შენდება. მას სამხრეთიდან მდინარე დილოლა  
ესაზღვრება, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან მუხათგვერდის ზეგნის ფერ-  
ლობები აკრავს, ხოლო მის აღმოსავლეთით მდინარე მტკვარი მიედინება.

ჩვენდა სასიხარულოდ, დრომ სასიკეთოდ მიგვაბრუნა წარსულისაკენ.  
ამის მაგალითი გახლავთ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვე-  
ტილება, რომ საბურთალოს რაიონში „დიდი დილომის“ დასახლებაში ქუ-  
ჩებს ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მიეკუთვნება მათი  
სახელები.

დასახლებას ერთი მხრიდან დავით აღმაშენებლის ხეივანი აკრავს. ეს კი  
მთავარი გამზირია, იგი ქართველი მეფის ფარნავაზის სახელს ატარებს, იმ  
მეფისა, რომელმაც IV-III საუკუნეებში ალაღვინა ყველა ქალაქი და ციხე-  
სიმაგრე და „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქარ-  
თლისა შინა თვინიერ ქართულისა“. სწორედ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად  
გაქვითა აქ ეს პანო — ანბანთქება.

პირველ და მეორე მიკრორაიონებს შორის მდებარე ქუჩას პეტრე იბერის  
სახელი ეწოდა. იმ კაცის სახელი, იოანე ლაზთან ერთად ქართული მონას-  
ტერი რომ ალაშენა იერუსალიმში, ტაძრები პალესტინაში, სირიასა და ეგვიპ-  
ტში.

ამ ქუჩას კი, რომელიც ფარნავაზ მეფისა და პეტრე იბერის ქუჩებს შორის  
მდებარეობს, ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის სახელი დაერქვა.  
იგი XI-XII საუკუნეებში მოღვაწეობდა შავ მთაზე ეფრემ მცირესთან ერ-  
თად. შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა გელათის აკადე-  
მიას. მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობა წარმოდგენილია თარგმანებითა და  
ორიგინალური თხზულებებით.

აქვე, ფარნავაზ მეფისა და პეტრე იბერის ქუჩებს შორის მდებარე ქუჩას  
კი გიორგი ბრწყინვალის — დემეტრე თავდადებულის ვაჟის სახელი მიეკუთ-  
ნა. იგი იყო პირველი მეფე, რომელმაც დაამხო უბოროტესი „თათრული უღე-  
ლი“, გააერთიანა მთელი საქართველო, ალაღვინა, ალაშენა და აღამაღლა თა-  
ვისი ქვეყანა და ხალხმაც სამართლიანად უწოდა ბრწყინვალე.

ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა დემეტრე თავდადებულის სახელი. იგი იყო შვი-  
ლიშვილი გიორგი ლაშასი, შვილისშვილისშვილი თამარ მეფისა.

გაუთავებელი შემოსევებისაგან სვეცამწარებულ მეფე თეიმურაზ პირვე-  
ლის, ქეთევან წამებულის ვაჟის სახელი კი ეწოდება III და IV მიკრორა-  
იონებსა და ფერადი ტელევიზორების ქარხანას შორის არსებულ ქუჩას.

აღნიშნულ ქუჩებზე უკვე დაიდგა მემორიალური დაფები. ჭეშმარიტად  
კარგი საქმე გაქვითა. ეს არის თაყვანისცემა იმათდამი, რომელთა ნათელი  
სული დღესაც გვინათებს გზას. ეს კარგი წამოწყება აღბათ ტრადიციად და-  
კვიდრდება არა მარტო ჩვენს დედაქალაქში, არამედ სრულიად საქართვე-  
ლოში და ჭეშმარიტი მამულიშვილთა ხსოვნას სამარადისოდ შეინახავს მაღ-  
ლიერი ერი.

სამხედრო გზასა და მტკვარს შორის განლაგდება დიდი დასვენების პარკი  
და სპორტული კომპლექსები, რომლის ფართობი 200 ჰექტარი იქნება, რაც  
თბილისელთათვის მნიშვნელოვანი დასვენების კერა გახდება. ასევე დაგეგმი-  
ლია მეტროპოლიტენის მშენებლობა.

ნუნუ გრძელიშვილი,  
ჟოთა ბაჯალიძე.



ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავია.  
1425 წელი.

იტალია.  
სწორედ აქედან იღებს სათავეს აღორძინების ხანა, რომელ-  
მაც ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგების მთელი პლეა-  
და შვა და მათ შორის — ვიტორინო და ფელტრე.

სკოლა — „სიხარულის სახლი“, მისი პირმოთა.  
ვიტორინოს წინადადება მისცეს სკოლა დაეარსებინა და  
იგი დათანხმდა, მაგრამ ერთი პირობით:

— თქვენს წინადადებას მივიღებ იმ პირობით, თუ არ ჩაე-  
რევით ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში და ამით ჩემს ღირსე-  
ბას არ შეზღავდით.

დიდებულოა!  
მასწავლებლის პედაგოგიურ საქმიანობაში ვარეშე პირთა  
ჩარევა პიროვნული ღირსების შეზღავდის ტოლფას ქმედებათაა  
მიჩნეული.

რამეთუ, თავისუფლება თავად შობს შემოქმედებას.  
ხოლო, სკოლას ვარს არტყია — ვრცელი მდელია ფართო  
ხეივანებით.

მოდრავი თამაშობანი.  
სრული თვითმომსახურება და ერთიანი მოთხოვნები უკლებ-  
ლივ ყველას მიმართ სასჯელის გამოყენების გარეშე.

ალმზრდელის პირადი მაგალითი.  
რეალური ცხოვრებისათვის მომზადებული საქმიანი ადამიან-  
ების აღზრდა, რომლებსაც მეცნიერული და ლიტერატურული  
ინტერესები ხელს არ უშლის, გადაჭრან პრაქტიკული ხასიათის  
ცხოვრებისეული პრობლემები.

პრაქტიკასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნა.  
უთუოდ ამ პედაგოგიურ ვარემობათა გამოც მოისწრაფოდა  
ასეთი სკოლისაკენ არა მარტო იტალიის არისტოკრატია, არა-  
მედ მსურველები საფრანგეთიდან და გერმანიიდანაც. აქ მაშინ  
მდაბიოსაც ღებულობდნენ.

და უთუოდ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სწორედ  
ვიტორინო და ფელტრეს სახელი გვხვდება ქართული პედაგო-  
გიკური ნააზრების ისეთ მნიშვნელოვან ძეგლში, როგორიცაა  
ილია ჭავჭავაძის „პედაგოგიის საფუძვლები“.

მაინც რა ინტერესებს ილიას და რატომ მაინცა და მაინც  
ვიტორინო და ფელტრე?

და ისიც თითქმის ოთხნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა  
რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში მოტყუებით გაერთიანებული  
და ყოველგვარ უფლებას აყრილი საქართველო, მაინც ქართუ-  
ლი დემოკრატიული პედაგოგიის ჩამოყალიბებაზე ზრუნავს.

ილია:  
— იტალიაში დაიძრა აზრი, რომ სკოლა აგებულ იქმნას ჰუ-  
მანობის მოძღვრების მიხედვითა. ამისი პირველი მესვეური იყო  
პაღუელი ჰუმანისტი ვიტორინო და ფელტრე, რომელიც ახალი  
პედაგოგიის მამად ითვლება დღესაც.

— ვიტორინოს იდეალად, ანუ მაგალითად, ჰქონდა ათინუ-  
რი „გემნასი“, საცა ერთნაირი და თანასწორი ყურადღება იყო  
მიქცეული, როგორც ყმაწვილის ჰევა-გონების განვითარებასა და  
გაძლიერებაზე, ისეც ძვალ-ხორც-ჯანის გამაგრებასა და გა-  
ლონიერებაზე. ხოლო მისალწევი საგანი კი ვიტორინოს სკო-  
ლისა ზნე-ხასიათის გაწვრთნა, დამთავრება და დადგენა იყო.  
ამიტომაც სკოლაში სწავლება და გარეთ ვარჯიშობა ერთი-ერთ-  
მანეთს რიგ-რიგად მოსდევდა. ყოველ დღეს, დანიშნულს საათს,  
რაც გინდა ტაროსი ყოფილიყო, ყმაწვილები ვარჯიშობდნენ  
სკოლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და მშვილდოსნობა-  
ში, ზოგჯერ ნადირობისა და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფ-  
ხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს სამგზავროდ  
ისტუმრებდა კარგა შორს, ზოგჯერ ალპების მთებშიც.

— მაგრამ იდგა რა პლატონ ფილოსოფოსის თქმულზედ,  
რომ თავისუფალი არსება თავისუფლად უნდა იზრდებოდესო  
უტყუებ-უტყემლად, ვიტორინო უძღვებოდა თავის შეგირდების  
წვრთნას მაგალითითა და ჩავანებითა.

დაბოლოს ილიასეული დასკვნა:

— ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვიტორინოს სკოლა უნაკლო  
იყო. ბევრი რამ აკლდა და ვრცლად რომ აგვეწერა, იქნება დაგ-  
ვენანა ზოგი რამ მეტიც, ხოლო ჩვენ თუ ეს ამბავი მოგვყავს,  
მარტო იმისთვის, რომ ვიტორინოს აზრი, მაშინდელის სკოლის  
საფუძვლად დადებული, მხოლოდ დასაწყისია, ფეხის ადგმა,  
ახალის საპედაგოგო თეორიისა, მაშასადამე ვიტორინოს მოქ-

მედებას სასკოლო სარბიელზედ ისე უნდა ვუყუროთ, როგორც  
ღვრიტას, რომელიც მერე და მერე გაღვივდა, როგორც კვირტს,  
რომელიც მერე და მერე გაიშალა და გადაიხსნა სხვათა მეცნიე-  
რთა წყალობით.

აი, თურმე რატომ.  
ილიას „ჰუმანობაზე“ დაფუძნებული „ახალი საპედაგოგო  
თეორია“ ინტერესებს.

იმითმ აინტერესებს, რომ „ახლანდელი სკოლის ვითარება“  
აწუხებს და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს.

ილია:  
— ეხლანდელს სკოლას აზრად აქვს, რაც შეიძლება ბევ-  
რი სწავლა-ცოდნა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის  
წვრთნას კი თითქმის სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ამ  
სწავლა-ცოდნასაც ისეთის დიდის საწყაოთი იძლევა, რომ მოს-  
წავლე ძლივ-ძლივობით ასდის, სულით და ხორციით იქანცება.  
არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჩელ, მხნე, სულითა და ხორ-  
ციით ღონიერი ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯან-გა-  
ლეული კაცი გამოდის სკოლიდან. ამ სახით, ეხლანდელი სკო-  
ლა მიმართულია მარტო გონების აღმატებაზედ და სხვა მხარეს  
ადამიანის ბუნებისას არამტუ შევლის, არამედ ჩაგრავს და  
ხუთავს. ეს შენიშნეს მეცნიერთა და კაცთმოყვარეობით გამსჭ-  
ვალულებმა ამ დიდის შეცდომის გასწორება მოისურვეს. დედა-  
აზრი ახლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადა-  
მიანი უნდა იწურთნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით,  
ზნე-ხასიათით, სულით და ხორციით და არც ერთი მათგანი არ  
უნდა შეეწიროს მეორეს. ეს დედააზრი, რომელსაც ეხლანდელი  
მეცნიერნი ლამობენ დაუღვენ სკოლას, ახალი ამბავი არ არის.  
მაგ დედააზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალ-საუკუნეებში მოი-  
პოვება, სახელდობრ, ეგრეთწოდებულ „განახლების ეპოქაში“.  
როცა თავი იჩინა ჰუმანობის მოძღვრებაჲ. პირველი კაცი, რო-  
მელმაც ჰუმანობის მოძღვრებაზე აავო სკოლა, იყო იტალიელი  
ვიტორინო და ფელტრე.

— ხოლო იმისი საქმით მოძღვრება უნაყოფოდ არ დარჩა.

კიდევ ვინ და რატომ აინტერესებს ილიას?  
მაგალითად, ერაშვ როტერდამელი, ფრანსუა რაბლე, მიშელ  
მონტენი და სხვები.

რაში დასჭირდა ისინი ილიას?

იმისათვის რომ, არა ერთი და ორი ცვლილება და შევსება  
მოელის ახლანდელს სკოლასა. ხოლო საჭირო კია, გვარიგებს  
ილია, რომ შემცვლელთა და შემავსებელთა ხანდისხან ყური  
ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მოიხედონ და ზოგიერთი  
რამ შეითვისონ იმ დიდბუნებოვან ჰუმანიტებ-პედაგოგთაგან,  
რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თა-  
ობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

ილია:

— ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია მით, რომ ადამიანის  
ჰევა-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგნო და ის-  
წავლა ბერძნებისა და რომაელების მწერალთა ნაწერებიდან და  
მრავალი რამ აღმოაჩინა. ყველაზე უდიდესი აღმონაჩენი ამ  
დროისა, — მიშლესი არ იყოს, — ადამიანია, ესე იგი ამ საუ-  
კუნემ ახალის თვალით მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსე-  
ბაზედ და იმის არსებობის საგანზედა.

დიდი საქმეა და არც თუ ადვილი, ახალი თვალით ძველის  
დანახვა. კერძოდ და განსაკუთრებით, ანტიკური სამყაროს პე-  
დაგოგიკური ნააზრების დანახვა.

და მაინც.  
მაინც ის, რომ..

ილია:

— ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას  
საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა  
უნდა დაედოს. ახალფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი  
ვითარება უნდა შეისწავლოს.

მართლაცდა, ეროვნული სრულიადაც არ ნიშნავს კარჩაყე-  
ტილსა და იზოლირებულს — იგი საკაცობრიო სულიერი მემკ-  
ვიდრეობის ეროვნულზე მორგებაა, რასაც, ცხადია, მშობლი-  
ურ ნიადაგზე აღმოცენებული საკუთარი ნააზრევი უნდა კვებავ-  
დეს და მთლიანობაში აღებული, ეროვნული ინტერესების გამომ-  
ხატველი იყოს.

ეს განვითარების ბუნებრივი პროცესია, რასაც ისიც ადას-  
ტურებს, რომ თვით ვიტორინო და ფელტრეს, აგრეთვე აღორ-  
ძინების ხანის სხვა ჰუმანისტ პედაგოგებსაც ყავდათ თავისი



ქართული  
ენების  
სწავლის  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

ანტიკური წინაპრები, რომელთა სახელების აღორძინება დაკავშირებული აღმოჩნდა ჩანსალი, აქტიური, ენერგიული და ხალისიანი ადამიანის კულტის დამკვიდრებასთან.

ესე იგი ისეთის, რომელიც დღესაც უპასუხებს სოციალური დაკვეთის უაღრესად თანამედროვე მოთხოვნებს.

ახლა ჩვენ ბევრს ვფიქრობთ და კიდევ უფრო მეტს ვლაპარაკობთ ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციაზე და ვცდილობთ, შევიძინოთ იგი.

ახალი საქმეა ეს ჩვენთვის, და, ამავ დროს, იგი ახლებურ მიდგომასაც საჭიროებს.

საქმე ის არის, რომ საყოველთაო ჰუმანიზაციის ის ხანა, რომელსაც კაცობრიობა ახლა ვადის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უკლებლივ ყველა ძირითადი მიმართულების გათვალისწინებით, აგრეთვე მოიცავს სახალხო განათლების სისტემისა და პედაგოგიკური აზრის უმნიშვნელოვანეს ასპექტებსაც.

კონცეფცია ანუ აღქმა, ესე იგი შეხედულებათა სისტემა ამა თუ იმ საგნის თუ მოვლენათა შესწავლისას. კონცეფცია მთლიანი შეხედულებაა ამა თუ იმ საკითხზე.

ასე რომ, შეხედულებათა სისტემა ქართული ეროვნული სკოლის რაობაზე და საკითხის განხილვის თვალსაზრისი მოიცავდეს უნდა მსოფლიოს კლასიკური მემკვიდრეობისა და თანამედროვეთა ისეთი გამოცდილების ერთობლიობას, რომელიც გადამუშავებული და გაქართულებული სახით ხალხის ეროვნულ ხასიათსა და მის ბუნებასთან აღმოჩნდება პარამონიულად შერწყმული.

ილიასეული „პედაგოგიის საფუძვლები“ ჩემთვის, უწინარეს ყოვლისა, იმის ნიმუშია, თუ რა და როგორ შემოვიტანო ჩემს მიწა-წყალზე და გავაპოხიერო ჩემი ეროვნული ნიადაგი, რა მაკლია და მჭირდება დამატებით იმასთან, რაც მაქვს, ჩემია, ვარგა და გამოსაყენებელია.

ამ თვალსაზრისით, ჩვენ არც თუ ისე ღარიბნი ვართ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ძველის ახალი თვალთ დანახვა გვიჭირს და ყოველთვის არც იმის უნარსა და შეძლებას ვამყარებთ, რომ სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

უთუოდ ამითაც შეიძლება აიხსნას უკმარისობის ის გრძობა, რომელიც მეც გამიჩნდა იმის გამო, რომ ისეთი ტევადი და ბიძგის მომცემი სიტყვა, როგორცაა მიზანი, აგრეთვე მისგან ნაწარმოები მიზანდასახული, მიზანმიმართული, მიზანმიმსწრაფი და ა. შ. სადღაც თვალსა და ხელს შუა დაგვეკარგა. დამაფიქრებელია ისიც, რომ მიზანი ხშირ შემთხვევაში დაფიქსირებულია, როგორც რაღაც გარკვეული წერტილის მსგავსი რამ, ხოლო ამ წერტილამდე მისვლის გზა ხშირად უცნობი და უგულებელყოფილია. არადა მიზანი ისაა, რაც უნდა განახორციელონ, რისკენაც მიისწრაფვიან და რასაც უნდა მიადგინონ. მაგრამ როგორ? რა გზითა და საშუალებებით? რეალური გზებითა და საშუალებებით.

ისეთით, როგორც, მაგალითად, ხშირ შემთხვევაში ახასიათებს ბავშვის ქცევას. აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, ჩვენს ყურადღებას ასეთ საინტერესო და საგულისხმო გარემოებას მიაპყრობს. იგი წერს, ბავშვის ქცევას რომ დააკვირდეთ, როდესაც ის ფეხს სწავლობს, იძულებული იქნებით იფიქროთ, რომ ნამდვილ ნებისმიერ ქცევასთან გაქვთ საქმე — ისე დიდია ბავშვის დაძაბულობა და ისე მიზანმიმართულია მთელი მისი ქცევა.

მიზანმიმართულია!

კი მაგრამ, ფეხის სწავლისა და სიარულის გარდა, სხვა არაფერი მიზანმიმართული სჭირდება ბავშვს, მოზარდს, საერთოდ ადამიანს?

ხოლო, თუ სჭირდება, სად და როდის ან რატომ გვეკარგება გზაში ესოდენ საჭირო ეს მიზანმიმართულება?

განა იშვითია, როდესაც უფროსკლასელი მოსწავლისათვისაც კი გაურკვეველია ხოლმე, რას აპირებს მომავალში, როგორია მისი ცხოვრებისეული გეგმები და სად ფიქრობს იგი სწავლის გაგრძელებას ან მუშაობის დაწყებას.

— არ ვიცი.

— ჯერ არ გადამიწყვეტია.

— ვნახოთ.

რა უნდა ნახო, შე კაი კაცო. განა ეს ერთ თვეში და ერთ წელიწადში გადასაწყვეტი საქმეა?

დროზე უნდა, გაცილებით უფრო ადრე უნდა ნახვაც, გადაწყვეტაც და გაკეთებული არჩევანის შესაბამისი მზადების დაწყებაც.

არ ვაკეთებთ ჩვენ ამას.

ისიც სათქმელია, რომ ახლანდელი თაობა ფიზიკურად უფრო ადრე, თითქმის ორი-სამი წლითაც კი, მწიფდება, ვიდრე სოციალურად და უთუოდ ამის ბრალიცაა, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბევრი კურსდამთავრებული პრაქტიკულად სრულიად მოუმზადებელია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

მახსოვს, ჩემი ბავშვობისა და მოზარდობის წლებში ძალზე ხშირი იყო, მაგალითად, ასეთი კითხვა:

— ბიჭი, რა გინდა გამოხვიდე?

როგორც წესი, ამას უფროსები გვეკითხებოდნენ: მშობლები ნაცნობები, ნათესავები, მეზობლები და ყველა, ვისაც მოეხსიათებოდა და მოეპრიანებოდა.

პასუხები, ახლა რომ ვიგონებ, ჰაერიდან იყო აღებული და საკმაოდ დამახასიათებელიც.

მაგალითად:

— მფრინავი.

— ტანკისტი.

— შოფერი.

— ექიმი.

ფაქტობრივად, ეს არაფერს ნიშნავდა.

მეც მეკითხებოდნენ, მაგრამ ახლაც არ ვიცი რატომ ვუპასუხებდი რომ, ექიმობას ვაპირებ-თქო.

მაგრამ, ასეა თუ ისე, კითხვაც იყო მაშინ და პასუხიც.

ახლა, აღარც ერთია და აღარც მეორე.

არ არის ჩვენში სწავლა-აღზრდა მიზანმიმართული პროცესი და ამიტომაც იგი მოკლებული მოსწავლის სასწავლო ქცევისათვის დამახასიათებელ მოტივაციას.

მოტივი ანუ მოქმედების აუცილებელი მიზეზი.

რამ შეიძლება მისცეს ბიჭი მოქმედებას და გახდეს მისი აუცილებელი მიზეზი?

უთუოდ ერის შინაური ცხოვრებით ნაკარნახევმა მოთხოვნებმა და ინტერესებმა.

სხვა რა უნდა იყოს?

ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ ლტოლვის აღზრდის პროცესის რიგაინად მოწყობაშია ჩამარბული ქართული ეროვნული სკოლის კონცეფციის საიდუმლოება.

ილია:

— საერო სკოლა ერის შინაური სკოლაა, ის მოედანია, სადა ერის გონებამ და გრძობამ პირველი ფეხი უნდა აიდგას, ის გამოზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ერს მასაზრდოებელი სულისა და ხორცის იმ პატარა საწყობი, რომელიც ზედ-გამოჭრილია უმეტესკლებოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელ მოთხოვნილებაზედ.

ამიტომაც, რომ „ერის შინაური სკოლის“ — ქართული ეროვნული სკოლის — კონცეფცია უნდა დავაფუძნოთ ჩვენივე ეკონომიკური განვითარების ეროვნულ მოდელს და გამოვიყვანოთ საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, შემდგომი სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული განვითარების ინტერესებიდან.

ამ იმედით მივესალმები 1989—1990 სასწავლო წლის დაწყებას და იმაზე ვოცნებობ, რომ იქნებ გავვიმართლოს და მართლაც ავაშენოთ ისეთი სკოლა, რომელიც „სიხარულის სახლი“ იქნება ქართველი ბავშვებისათვის.

ოთარ ქინქლაძე

დროშა 3

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. ც. ს. კ. ბ.  
2020

19038

ღრმა, ძლიერ განცდას ქარბსიტყვაობა არ შევინს. დიდ ტკივილსა და დიდ სიხარულს თავისი ენა აქვს. ეს ენა ყველას ესმის. ასე იყო იმ დღესაც. გაზაფხულის მზემ ცემენტის კედლის, რკინის კარებისა და სათვალთვლო კოშკების მიღმაც შემოაღწია. ყვავილიც ბევრია, ჩვეულებრივი, ფერად-ფერადი სურნელოვანი, რაღაც არაბუნებრივი სუსხი კი მაინც იგრძნობა. უჩვეულო სურათის მოწმენი ვხდებით: ერთ მხარეს ტყუპებივით ერთნაირი, ლურჯშარვალხალათიანი ბიჭები დგანან ნაღვლიანი თვალებით, მეორე მხარეს — მოხდენილ ტანსაცმელში გამოწყობილი მათივე თანატოლები, სიხარულით სავსენი. მათ ეს-ეს არის გაიხადეს არასრულწლოვანი კოლონიის მსჯავრდებულთა ფორმა, ეს-ეს არის გამოვიდნენ დარბაზიდან, სადაც საზეიმო გაცილება მოუწყვეს.

...მერე ნაღველი და სიხარული შეერია ერთმანეთს, დიდხანს დგანან დამრჩენნი და წამსვლელნი ხელიხელგადახვეულნი.

გავა სულ რამდენიმე წუთიც და ახალგაზრდები დაუბრუნდებიან ცხოვრებას, ახლობლებს. მათ შრომით, სწავლით და სანიმუშო ქცევით დაიმსახურეს დროზე ადრე გათავისუფლება. ვუყურებ და მიკვირს, ნუთუ ამ ნათელი სახეების, ამ გულუბრყვილო თვალების მიღმა რაიმე ბოროტება იმალება. მერე ერთი ჭაბუკის წინ ვჩერდები:

— შენ აქ როგორ მოხვდი? — ხმა მებზარება.

— რა ვიცი, — მხრებს იჩეჩავს მორცხვად და სახეზე ალმური ეკიდება.

სირცხვილისაგან გაწითლებაც ხომ საუკეთესო ადამიანური თვისებაა.

— ეს იაგორ ხუფენიაა, — დაძაბულობის განსამუხტავად წამომეშველა მსჯავრდებულებთან პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსი გიორგი ბიბიაშვილი, — კარგი ბიჭია, ორი შვილის მამა.

ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს. ეს როგორ? უკვე მამა? კი, მაგრამ, ის ხომ ჯერ... მერე ძირფესვიანად „ესწავლობ“ მის საქმეს.

ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს „რომეო და ჯულიეტას“ კითხვა ან კინოეკრანზე ცქერა, მაგრამ...

იაგორსაც შეხვდა თავისი ჯულიეტა. გადაწყვიტეს, ოჯახი შეექმნათ. ვაიპარნენ სოფელში. ეს მოგზაურობა ისე წმინდად დამთავრდა, როგორც ლამაზ, ამაღლებულ სიყვარულს შეპფერის... თითქოს ყველაფერი ბუნებრივია, ცხოვრებისეული. დაბრუნებულთა მილიციის განყოფილებაში ხელწერილი დაადებინეს, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა. ერთი კვირის შემდეგ გოგონა მაინც გაიპარა და ხუფენიებს მიადგა კარზე... მას კი თექვსმეტი წელი ჯერ არ შესრულებოდა.

ამ ამბავსა თუ ფაქტს იურიდიულად სხვაგვარი ფორმულირება აქვს და კაცი, რომელსაც ეგონა, კოლი შევირთეთ, წარსდება სასამართლოს წინაშე, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე.

სასამართლო შედგა — თქმა ადვილია, იმის გათვალისწინება კი ძნელი, რა უხერხულ და შეურაცხყოფელ კითხვაზე უნდა ეპასუხათ ახალგაზრდებს.

იაგორ ზუფენიას ახლაც უჭირს იმ მტანჯველი საათების მოგონება. ერთი კი თქვა ძლივს გასაგონი ხმით, მე მაშინ ბედნიერების ზენიტზე ვიყავი, ოცნების კოშკებს ვაგებდი და ერთი ხელის დაკვრით კი ჩამომეგრათ თავზე...



# საზარელი სიჭეპარი, ანუ ერთი დღე არასრულწლოვანთა კოლონიაში

მას ორი წელი მიუსაჯეს სასჯელის გადავადებით.

შიქილბოდა თუ არა ეს მტანჯველი თავგადასავალი მეორე დანაშაულის მიზეზი გამხდარიყო, ეს მკითხველმა განსაჯოს. ფაქტი კი ფაქტად რჩება. იაგორი საღამოს სკოლაში სწავლობდა, თან მუშაობდა, უკვე მამა იყო, მეორე შვილსაც ელოდა და... ნასვამმა სხვისი მანქანა გაიტაცა. მანქანა ძველი იყო, არც მაგნიტოფონი ჰქონდა და ვერც დახელოვნებული გამტაცებლის ხელწერა დატოვა, მაგრამ ის ხომ უკვე ნასამართლეთი იყო...

შიქილბოდა თუ არა პირველად არ დასჯილიყო იაგორი?

არა! საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 119-ე მუხლი ამგვარ შეღავათს არ ითვალისწინებს. უფრო მეტიც, სასამართლოს გადაწყვეტილება იმასაც გულსხმობს, რომ ახალგაზრდები უნდა გაიყარონ, მანამ, სანამ გოგონას თექვსმეტი წელი შეუსრულდება „დანაშაული“ არ უნდა გაგრძელდეს.

იაგორ ხუფენია. საშინელი გამოცდის წინაშე აღმოვჩნდით მე და ჩემი მეუღლე — შევძლებდით კი ამგვარ გარემოში შეგვენარჩუნებინა სიყვარული, რწმენა, საფუძველი ჩვენი მომავალი ოჯახისა? ხომ

შიქილბოდა ეს „კანონიერება“ უფრო დიდი უბედურების საბაბი გამხდარიყო?

იაგორს მაშინ უფრო გავუგებთ, თუ გავითვალისწინებთ, რა უბრალოდ წყვეტს ამ თავსატეხს რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსი. იქ ყურადღება გამახვილებულია არა ასაკზე, არამედ სქესობრივ სიმწიფეზე და მთავარ სიტყვას ამ მხრივ ექსპერტი ამბობს...

...და ასე, კოლონიის ცივი კედლის შიგნით დარჩა მოგონებები ლამაზ სიყვარულზე, ტკივილი, დარდი შვილებზე, სინანული...

— პირველად ძალიან გამიჭირდა. ყველაზე და ყველაფერზე გულაყრილს შავი ფიქრები მომეძალა, თითქოს გავბოროტდი... მერე მივიხედ-მოვიხედე. ვნახე, აქაც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. რას იზამ, კოლონიას თავისი წესები აქვს. მკაცრად მოითხოვენ მის დაცვას, მაგრამ თითქოს შეუძლებელი არაფერია. უნდა იზრომო, ისწავლო... ეს არის ძნელად ასატან გარემოში.

მერე უფრო კარგად გავახილე თვალი და ისიც დავინახე, მარტო კი არ მოითხოვენ, ზრუნავენ კიდევ. სიტყვას მოგცემენ — აუცილებლად შეასრულებენ. კარგ საქმეს გააკეთებ — დააფასებენ. გაჭირდება აქვს

ვინმეს, მხარში ამოუდგებიან. რაც მთავარია, გენდობიან. ეს უბრალო საქმე არ არის.

საქვებში ვმუშაობდი, ღამის საათებშიც, ისეთი წუთებიც ყოფილა, როცა შეიძლება გაპარვას... მითუმეტეს, როცა შეიძლება თვალის შევლებას არაფერი გირჩევნია. დასჯის შიში კაცმა შეიძლება გადალახოს, მაგრამ ნდობას დაფასება რომ უნდა, ყველამ იცის, მთლად ხელიდან თუ არ არის წასული. სკოლა? როგორ გითხრათ, იქ ყველაფერია, ისე როგორც სკოლაში, მასწავლებლებიც ისევე გვექცევიან, როგორც ჩვეულებრივ მოსწავლეებს, იქნებ მეტი ყურადღებითაც. ასე, განსაჯეთ, ფსიქოლოგიც კი ჰყავს კოლონიას... მაგრამ იგი მაინც ძალიან ჰგავს და თითქოს არც ჰგავს ჩვეულებრივ სკოლას. უფრო წმინდა ადგილია, სადაც შედარებით თავისუფლად სუნთქავ... და იოლია აღსარებაც... მაგრამ არ არის სკოლისთვის დამახასიათებელი მხიარული კრიამული...

კიდევ ერთი მსჯავრდებული. მას დედა ცოცხალი ჰყავს და მაინც უღედოა, მამასთან იზრდებოდა და მამაც არ ჰყავდა...

ადამიანების სიტბო და ყურადღება ძალიან სჭირდებოდა, გულცივ გარემოში კი მოხვდა.

— რომ გითხრათ, კოლონიაში ყოფნას ჩემთვის არაფერი მოუტანია-მეთქი, მართალი არ ვიქნები არც თქვენთან, არც საკუთარ თავთან. აქედან სულ სხვაგვარად აფასებ კაცი წარსულს... იტანჯები, მაგრამ იცი, რომ ეს დაიმსახურე. დამნაშავე ვარ, ვის დავაბრალე. შრომა თავიდანვე მიყვარდა, ოსტატობა. მანქანა მესმის კარგად, სხვაც ბევრი რამ. ამან გადაამარჩინა. დროზე აღრეც იმიტომ მიშვებენ. თუ კაცს პროფესიის დაუფლება უნდა, კოლონიაში ამის საშუალება არის. ფიქრის დროც ბევრია...

ჩემს ყურადღებას უბოროტო, ჭორფლიანი სახის ბიჭი იპყრობს. მას ლურჯი შარვალ-ხალათი აცვია. წამსვლელს არ ჰგავს. ცნობისმოყვარე თვალს აქეთ-იქით აცეკვებს. იგი იოსებ მოსულიშვილია. რას წარმოიდგენს ადამიანი, რომ ამგვარ უბოროტო არსებას შეეძლო თავისი სისხლისა და ხორცისთვის, გამზრდელი ბებიისთვის გაფით მოგროვილი ფული მოეპარა და მერე ქარისთვის გაეტანებინა.

მოგვიანებით, როდესაც ტანჯული ბებინს სანახავად კახეთის ერთ-ერთ სოფელში ჩავალ, იგი იტყვის: — ჩვენი ჭირი წაუღია იმ ფულს. ბავშვი დაიკარგა, შვილო, თორემ რას ვავაძვადებდით. ჩემი გაზრდილია. ააყენებდა უთენია პაპა, დაადევნებდა კაჭკას, ყველაფერს თან დაჰყავდა, შრომა უნდა ვასწავლოო. ასწავლა კიდევ. არ ეზარება შრომა. კეთილი ბავშვიც არი. რასაც აშავებდა, ხომ აშავებდა, არ იცოდა დამალვა. ერთი-ორი დღე გავიდოდა და აუცილებლად იტყვოდა. ან დედას გაენდობოდა, ან მე, რასაც არა, მაინც იმას აბრალვებდნენ ყველაფერს, უმამოთ და...

ახლა, მგონი ჰკუთხე მოვიდა. ოღონდ გამოვიდე, ბებო, მითხრა, ძალიან მენატრებითო, ნახე, რა კაცი დავდგებო. რა ვიცი, ნახევარზე მეტი გავიდა, ბიჭი კარგად იქცევა, შრომობს, სწავლობს, რატო არ უშვებენ, რო დატრიალებულიყო, მე აღარ შემიძლია...

ეს ახლა არ ვიცი. გულში დიდ ტკივილს ვგრძნობ, მერე ყელში შებჩინება ეს ტკივილი, მაგრამ მაინც ვეკითხები:

— ბებია ნაწყენია შენზე?

— არა!

— მოდის ხოლმე აქ?

— ხშირად.

— რამდენი წელი მოგისაჯეს?

— ოთხი.

— ოთხი? — გოცბული ვარ, — ამ როგორ ხარ? გიჭირს?

— აქ ყველას უჭირს. ერთმანეთით ვიტანთ. მასწავლებლებიც გვეხმარებიან ამაში, კოლონიის თანამშრომლებიც. ჩემს გვერდით ახალგაზრდათა შორის საქართველოს ხუთგზის ჩემპიონია. რას იზამ, მასაც ჩაუდენია უნებლიე დანაშაული... ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სულელებად და ფიზიკურად ჩანსალი დაუბრუნდეს იგი თავის საქმეს. მე კი კოლონიის შიშმა დამლუპა...

ვერ გავიგე, ვთხოვე აეხსნა:

— პირველად ფული იმიტომ მოვპარე ბებიას, რომ მოტოციკლეტი მინდოდა, მერე გამაგიყეს, დაგიჭერე, დიდი ბიჭები იქ ამას და ამას გიზამენო, სუ დაილუპებო, ვიფიქრე, გავიქცევი, დავიძალბე-მეთქი და კიდევ მოვპარე ფული, ლენინგრადაში გავიქეცი...

მაგონდება ქალაქის პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსის ნათელა ჩერქეზიას სიტყვები:

— რთული, გამოუსწორებელი ბავშვი არ არსებობს. არსებობს რთულ სიტუაციაში ჩავარდნილი მოზარდი, რომელსაც ყველა უნდა ეხმარებოდეს, ვინც ცხოვრების გზაზე შეხვდება. თითის ქნევით და ტუქს-ვით ასეთებს გზაზე ვერ დავაყენებთ... რა დასამალია, მშობლებს, აღმზრდელებს, არასრულწლოვანთა ინსპექტორებს ყოველთვის ყველა საშუალება როდი აქვს გამოყენებული, სანამ მოზარდი სასამართლოს წინაშე წარსდგება. მშობლებს კონფლიქტი აქვთ, ბავშვის გადასატანია, გაცილებულნი არიან — მითუმეტეს. არასრულწლოვანთა ინსპექტორიც ზოგჯერ რომ აჩქარდეს, რა გასაკვირია. ბავშვმა თუ სერიოზული დანაშაული ჩაიდინა, ხომ მასაც მოხვდება. მოსწავლეს მილიციაში აქვს საქმე და სკოლა უმეტეს შემთხვევაში ცუდ დახასიათებას აძლევს. არც ეს მიკვირს... რამდენჯერ უსაყვედურა მას პრესამ, ტელევიზიამ, დამნაშავე ბავშვს ასეთ და ასეთ დახასიათებას აძლევსო...

მასწავლებელი მოსწავლის პროცესზე არ მოვა თავის ნებით, თუ არ დაიბარე...

იოსებ მოსულიშვილის დედ-მამა თხუთმეტ წელზე მეტია გაცილებულნი არიან. მამა შვილის აღზრდაში არაკეთილ მონაწილეობას არ იღებს. იგი ჯერ ბებიასთან იზრდებოდა, მერე ერთხანს ყვარლის სკოლა-ინტერნატში მიაბარეს. დედა თელავში ცხოვრობდა. ბინა არ ჰქონდა. სანამ დედა-შვილი როგორც იქნა შეერთდნენ, ეტყობა, დავვიანდა...

**კოლონიის უფროსი.** ხბოსავით ბიჭია იოსებ მოსულიშვილი. იგი ოჯახური ტრადიციისა და საზოგადოების გულგრილობის მსხვერპლია.

ვენდობი იოსებ მოსულიშვილის გულწრფელ სიტყვას — ჩემი დანაშაულის სიმძიმე მესმის, ვნანობ, ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ აღარ მოხდებოა...

**...ყოფილი მსჯავრდებულის წერილიდან.**

...მოსაგონარი ბევრი მაქვს. ოღონდ არ იფიქროთ, ვტყუი. თქვენი წერილი რომ მივიღე, ცრემლებმა დამახრჩო. თვალწინ დამიდგა ჩხვლეტია მავთული, სკოლის მღუმარე კედლები, საწოლი შენობის სიმძიმე და კიდევ ბევრი, ბევრი რამ, საში-



ნელი კომპარი, რაც თქვენ იცით და რაზეც წერა მიჭირს. გამიჭირდა, გადამელახა ყოველივე, მაგრამ მაინც მივალწიე და ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ბავშვობის შეცდომა არასოდეს განმეორდება.

სამხედრო სამსახური კარგად მიდის. მაქვს რამდენიმე მადლობა. პირველი მაისისთვის უმცროსი სერჟანტის ჩინს მივიღე. ვთამაშობ ასეულის ფრენბურთის გუნდში, რომელიც ახლა პირველ ადგილზეა...

არის ასე, არის სხვაგვარადაც. როცა არასრულწლოვანი კოლონიაში მოხვდება, მისი მომავლის განჭკრეტა წინასწარ ძნელზე ძნელია. აქაც ისევე გარემო ამბობს თავის სიტყვას...

...გრძელ მაგიდას უსხედან კოლონიის ხელმძღვანელებიც და პედაგოგებიც. კოლონიის უფროსი გულივერ ხუზია, შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი, განათლებით ფილოლოგია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მას მეცნიერებისათვის ამზადებდნენ. თავის ხელითა აქვს გადაწერილი ძველი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები და ოთხთავის მრგვლოვანი ნაწერ ტექსტზეც ბევრი უმუშავია. ამის შემდეგ შეუძლებელია არ ვირწმუნოთ, რომ ჰუმანური დამოკიდებულებების დეფიციტი არ უნდა იყოს კოლონიაში, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი არჩილ ბერიძე ოცდათხუთმეტი წელიწადია, ამ სკოლაში მუშაობს. ყველა მასწავლებელს მსჯავრდებულებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. თუმც აქ ეს სიტყვა უადგილოა, რადგან შემოადგამს თუ არა სკოლაში ფეხს არასრულწლოვანი დამნაშავე, იგი მაშინვე ჩვეულებრივ მოსწავლედ იქცევა.

სხედან. მსჯელობენ. ბიჭების წასვლის შემდეგ კიდევ ერთხელ ახანაოხებენ მათ ხასიათს, ითვალისწინებენ სიძნელებებს, რომლებიც ცხოვრებაში შეხვდებიან.

იკვებება მთავარი მიზეზები არასრულწლოვანთა კოლონიაში მოხვედრისა — ჩვენი დანგრეული ოჯახებით გამოწვეული ძლიერი ემოციები, წრე, მეგობრები, გარემო, ყველაფერი, რაც ბავშვის ირგვლივ ხდება. არც შემთხვევითობაა გამორიცხული და, ჩვენდა სამარცხვინოდ, არც რომანტიკა.

— რა გიკვიროთ, ბატონო, აღელვებას ვერ ფარავს ისტორიის მასწავლებელი ვანტანგ ლლონტი, — ჩვენს საზოგადოება-

ში ისე გაბატონდა ალებ-მიცემობა, ყველა სახის ქურდობა სატრაბახო გახდა. ხელდას ბავშვი, აგერ მეზობლად პროფესიონალი ქურდი მეფურად აცხოვრებს ოჯახს. მეორე სახელმწიფოს პარავს. კაცია, მეგობრები ყავს. ანგარიშს უწევენ, აფასებენ. ვინც პატიოსნად შრომობს, უქონელია... წასკდება ბავშვს ხელი და მასზე დიდი ქურდები შეარცხვენენ, გაანაპირებენ. კოლონიაში თუ მოხვდა ხომ... თქვი, არჩილ, რამდენი ოფელი გვიღვრია იმისათვის, რომ აქედან გასული ახალგაზრდა ან სკოლას დაუბრუნდეს ან მუშაობა დაიწყოს. არ უნდა იყოს მათი ბედი დამოკიდებული შემთხვევით ადამიანებზე. შრომითა და ცხოვრებით გამორჩეულმა ადამიანებმა უნდა იტვირთონ ერთხელ გზას აცდენილი ახალგაზრდების ხელმეორედ დაბადება.

— ალბათ, ხშირად აკითხავენ აქ სკოლის მასწავლებლები თავიანთ ყოფილ მოსწავლეებს, — ვკითხულობ რატომღაც დადებით პასუხში წინასწარ დარწმუნებული.

— არასოდეს, — ამბობს არჩილ ბერიძე. ერთ დროს რაიკომი გვეხმარებოდა და ორგანიზაციას ვუკეთებდით მათ მოყვანას. საოცრად კეთილი ზეგავლენა იქონია ამან ბავშვებზე. არა, თავისით არასოდეს არავინ მოსულა.

მერე არსებულ კანონმდებლობასა და შეღავათებზე ჩამოვარდა სიტყვა. ბევრი სასიკეთო საიხლის მოლოდინშიც არიან. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საქმეში ჰუმანიზაციის გზას ადგას. მარტო ის რად ღირს, რომ კოლონიის სკოლას ვინც ამთავრებს, იღებს ქ. თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ატესტატს. არსად არ არის აღნიშნული, რომ იგი კოლონიის სკოლაა. ამას უკვე კარგა ხნის წინ მიაღწია არჩილ ბერიძემ. აქვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ეუფლებიან რამდენიმე პროფესიას. მუშაობს კერამიკის საწარმო. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გიორგი უშანგიშვილი ხის მხატვრული დამუშავებით დაინტერესებულთ ხელმძღვანელობს.

...და მაინც ყველა შეილება აქ არ უნდა ხვდებოდნენ. ყველაფერი უნდა ვიღობოთ, სანამ გვიან არ არის.

**არჩილ ბერიძის ნაამბობიდან.** ჩვენი ზოგიერთი ყოფილი მსჯავრდებული ცნობილი ადამიანი გახდა. ერთ-ერთმა მათგანმა მეცნიერებაშიც მიაღწია წარმატებებს. უკვე ცნობილ ადამიანს რამდენიმე სექტემბერს ვიწვევდი ჩვენ სკოლაში. საუბრობო შედეგს იძლეოდა მისი გულლია საუბარი. ერთი სექტემბრის დამდეგსაც ჩვეულებრივ მასთან რომ მივედი, თვითონ შინ არ იყო. მშობლებმა მთხოვეს, ნულარ მოხვალთ, ჩვენი შეილისთვის ის, რაც იყო სასარელი სიზმარია, ხელი უნდა შეგუწყოთ, რომ დაივიწყოსო...

ამგვარ სიზმრად რომ იქცეს ჩვენი შეილებისათვის ბავშვობის შეტდომანი, ჩვენზეც ბევრია დამოკიდებული. გვახსოვდეს, როდესაც სასამართლოს ჩვენი შეილები-სათვის ვანაჩენი გამოაქვს, ეს მე, შენ, მთელ საზოგადოებას ეკუთვნის.

ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება რაღაც პერიოდი, როცა ძალიან სჭირდება სხვათა დახმარება, მხარდაჭერა, გულის სითბო. რა მათი ბრალია, თუ ასეთი დრო ზოგისთვის ძალიან ადრე, ბავშვობაში დგება.

ნათელა გიორგობიანი



**გოლოტიკა**

ყურადღებით გავეცანი თქვენს რედაქციაში მომზადებულ ამ საფურცლო მასალას და გადავწყვიტე ჩემი აზრი გამოეთქვა, ჩემი დამოკიდებულება გამოეხატა ამ უადრესად მტკივნეული პრობლემაში.

თავიდანვე და პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედება, რასაც შედეგად თავისუფლების აღკვეთა მოსდევს, დიდი ეროვნული უბედურებაა. ეს ჩვენი ტრაგედიაა. ცხადია, იდეალურია ვითარება, როდესაც სისხლის სამართლის დანაშაულს საერთოდ არა აქვს ადგილი და არც დანაშაუვა, რომელიც სასჯელის იხდის. მაგრამ ასეთი ვითარებიდან ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან შორს ვართ.

მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო მე დამსჯელი ორგანოს წარმომადგენელი ვარ, რომლის ფუნქციებში აღმზრდელითი ხასიათის მუშაობა არ შედის, ცხოვრებამ მოიტანა და ამ საკითხებთანაც დავინტერესდი. დღეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საკითხი ყველა უწყებისა და მოქალაქის საზრუნავია და შინაგან საქმეთა ორგანოების წარმომადგენლები ვერ დავრჩებით მათურების როლში. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი მისწრაფება, შევქმნათ ბაზალეთის ტიპის მიდამოებში ახალი, ორიგინალური კომპლექსი ე. წ. „ქნელადაღსაზრდელო“ მოზარდებისათვის, ჩვენის ვარაუდით ასეთმა კომპლექსმა ბავშვთა კოლონიები უნდა შეცვალოს აღზრდის ახალი ფორმით, ჰუმანურობით, დინჯი და ხანგრძლივი პროფლაქტიკური მუშაობით, ეფექტური მავთულხლართებისა და ურუ კედლების გარეშე. ჩვენ უკვე შევუდექით სამზადისს, რათა შეირჩეს გამოცდილი, გულისხმიერი 3 ედაგოგები, რომლებიც სათანადო ცოდნას და აღზრდას მისცემენ მოზარდებს, ოსტატები — რომლებიც სამუშაო სპეციალობას და შრომის სიყვარულს გამოუმუშავებენ მათ.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს დიდძალი მასალა გააჩნიათ ანალიტიკური შეფასებისა და დასკვნებისათვის, რამაც უთუოდ შეიძლება სასარგებლო სამსახური გავვიწიოს არა მარტო დანაშაულებების პროფილაქტიკის, არამედ აგრეთვე საერთოდ აღმზრდელითი მუშაობის და კერძოდ, სამართლებრივი აღზრდის არსებითად სრულყოფისა და რადიკალურად გაუმჯობესებისათვის.

მე ვიცი, რომ ეს არ არის იოლი საქმე. ვიცი,

რომ დანაშაულის გამომწვევი მიზეზებია, ასწინა და არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევების აღსაკვეთად უკვე აღარ გამოდგება მართოდენ სკოლისა და ოჯახის, მასწავლებლებისა და მშობლების ტრადიციული სტერეოტიპი, თუმცა არც ის იქნებოდა სწორი, რომ ისინი მთლიანად და სავსებით გაგვეთავისუფლებინა ასეთი პასუხისმგებლობისაგან, საქმე გაცილებით უფრო რთულია და მისი სათავეები თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოუწესრიგებლობაშია საძიებელი. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. ხოლო თქვენს მასალაში, რომელსაც ახლახან გავეცანი, ჩემის აზრით, სავსებით სწორად არის დასმული ერთი კონკრეტული საკითხი. სახელდობრ: არის და იყო თუ არა აუცილებელი ყველა იმათი საზოგადოებიდან იზოლირება, ვინც სხვადასხვა დანაშაულისათვის სასჯელს იხდის არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ კოლონიაში?

ჩემის ღრმა რწმენით, არა, ხოლო ეს თვალსაზრისი, მე ადრეც გამოვთქვი. და არა თუ მარტო აზრი გამოვთქვი, არამედ ყოველივე ეს პრაქტიკულადაც განვახორციელეთ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა კოლონიიდან 150-ზე მეტი მსჯავრდებული გავანთავისუფლეთ ვადაზე ადრე, გამოვუცხადეთ მათ ნდობა და მოხარული ვართ, რომ მათ გავვიმართლეს. მომავალში ალბათ უფრო მეტი ნდობა უნდა გამოვუცხადოთ მათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძალიან ხშირად უნდობლობა უიმედობის საწინდარია და ჩვენ არა გვაქვს მორალური უფლება, უიმედობა განვუმტკიცოთ მოზარდს. არავითარ შემთხვევაში. ეს კი არა და, ჩვენ იმასაც კი „გვაბრალდებენ“ ბავშვთა და მოზარდთა კოლონიების გაუქმება უნდათო. დიან გვინდა. ვიმუშაოთ ყველამ ერთად ხელისხელჩაიკებულებმა, რომ არ დაგვირდეს ასეთი ტიპის კოლონიები. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩანადირი მომავალი თაობის აღსაზრდელად. ამასვე უნდა ემსახურებოდეს ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული ბაზალეთის კომპლექსიც.

სამწუხაროა, რომ სახალხო სასამართლოები ზოგჯერ არც თუ მთელის გულისყურით იხილავენ არასრულწლოვან დანაშაულებთა საქმეებს და მათ მიერ გამოტანილ განაჩენშიც ყოველთვის არ ჩანს კანონის მუხლის და სულის ერთიანობა. ამის მისაღწევად მათ არც სკოლის პედაგოგიური კოლექტივი უდგას გვერდით და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველა მონდომებულია გადაცდენის პირველივე შემთხვევიდან როგორმე თავიდან მოიშოროს ესა თუ ის არასრულწლოვანი.

რომელმაც, მართალია კანონის საწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, მაგრამ არა ისეთი და იმ სიმძიმისა, რომ თავისუფლების აღკვეთისათვის გავიშტოთ.

მე ამ შემთხვევაში, ჰუმანიზმისა და კაცობიერების უბრალო მქადაგებელი კი არა ვარ, თუმცა არც ეს უნდა იყოს ჩემგან გასაკვირი, არამედ იმის მოწადინე, რომ საფრთხილითა და მალალი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ თითოეული, სწორედ რომ ცალკე აღებული თითოეული, არასრულწლოვნის ბედს და მისი ცხოვრების მერმისს. თქვენი სასურნალო მახალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და საქმეში ღრმად ჩავხიზნავთ, შეიძლება გულისტყვილით დავასკვნათ, რომ გამოტანილი განაჩენი შეიძლება სხვაგვარი უფილიყო. ამის თქმის უფლებას იხიცი მაძლევს, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი ადრეც ჰქონდა და არავინ, სკოლის ან სასწავლებლის პედაგოგის კოლექტივიც კი, არ დაინტერესებულა და არ მოუწოდებია, რათა თავიხვე მოსწავლისათვის აეცდინა ზოგჯერ სახედისწერო განაჩენის გამოტანა. ისევე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ითავა ეს და, როგორც უკვე ითქვა, უკვე მსჯავრდებულ არასრულწლოვანებს გაუწოდა დახმარების ხელი. რამდენადაც ვიცი, ამან დადებითი შედეგი გამოიღო და ვადაზე ადრე განთავსულებული მოზარდები იმედს ამართლებენ.

ასეთ პრაქტიკას ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ. მაგრამ გვჭირდება სკოლისა და ოჯახის თანადგომა. ამასთან, მიგვაჩნია, რომ სახალხო სასამართლოს სხდომას, რომელიც არასრულწლოვანი დამნაშავეს საქმეს იხილავს, აუცილებლად, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, ესწრებოდეს მასწავლებელი და აქტიურადაც მონაწილეობდეს განხილვაში, რათა განაჩენის გამოტანას საფუძვლად დაედოს არა მარტო იურიდიული ნორმები, არამედ, აგრეთვე — პედაგოგიური მიდგომა და მოსალოდნელი შედეგების პედაგოგიური განჭვრეტა.

ცხადია, მთავარი მინცი ის არის, რომ საქმე გამოძიებამდე და მოზარდის გასამართლებამდე არ მივიყვანოთ და დროულად მივიღოთ სისხლის სამართლის დანაშაულის აღმკვეთი პროფილაქტიკური ხასიათის ზომები. ამ მიმართებით ბოლო წლებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბევრი საინტერესო, კომპლექსური ღონისძიება განხორციელდა. უოველდღიური, საქმიანი ურთიერთობა და მუდამი საქართველოს აღკვეთის ცენტრალურ კომიტეტთან, სახალხო განათლების სამინისტროსთან, ბევრ სხვა უწყებასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან. გარკვეულ დახმარებას გვიწევს ამ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, პრესა, ტელევიზია და რადიო.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შინაგან საქმეთა ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფ 37000 მოზარდთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობის ეფექტურ ორგანიზაციას. მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროების ერთობლივი ბრძანების თანახმად, ამ უწყებების, მათი სამსახურებისა და დაქვემდებარებული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები პერსონალურად მიემარჯვნენ აღრიცხვაზე მყოფ უველაზე რთული კატეგორიის არასრულწლოვანებს. დაახლოებით ათასამდე პირს, ამ ღონისძიების მთავარი აზრია უოველი გზასადენილი მოზარდის ჩაბმა სწავლასა და შრომაში, კონკრეტული დახმარება მათი ოჯახისადმი, გულისხმიერი და, ამასთან ერთად, კომპეტენტური

დამოკიდებულება ასეთი პირების აღზრდისა და გამოწვრთმის საქმისადმი.

1988 და მიმდინარე წლის მისში ჩატარდა არასრულწლოვანთა სამართლებრივი აღზრდის კვირეული, რომლის პროცესში შინაგან საქმეთა ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფ მოზარდთა ჩვეულები ეწვივნენ ზემო-ავეკალის შრომა-აღმზრდელით კოლონიას, ადგილზე გაეცნენ მსჯავრდებული არასრულწლოვანების ცხოვრების, სწავლის, შრომის პირობებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ღონისძიების შემდეგ ბევრმა მათგანმა შეიცვალა ე. წ. რომანტიკული დამოკიდებულება კოლონიური უოფისადმი და შესაბამისად თავი დაანება ფიქრს დანაშაულისა თუ სხვა სამართალდარღვევის ჩადენაზე.

1988 წლის ზაფხულის არდადეგების პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სსრ სამინისტრომ გამოძებნა საშუალება და 100 ძნელად აღზარდელი მოზარდი უფასოდ დაახვერა კოჭრის პიონერთა ბანაკში, რომელიც მილიციის მუშაკების შევლებისთვის არის განკუთვნილი. მათ მიმართ ტარდებოდა პროფილაქტიკური, აღმზრდელითი და კულტმასობრივი ღონისძიებების კომპლექსი, რამაც დადებითი შედეგი მოგვცა. კერძოდ, არცერთ მათგანს დანაშაული არ ჩაუდენია. ხოლო გარკვეული ნაწილი შემდგომში აღრიცხვიდან მოიხსნა გამოსწორებით. ასეთივე ღონისძიება გატარდა მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების თანამშრომელთა კვალიფიკაციის რეგულარული ამაღლების საკითხებს, რადგან მათ საქმე აქვთ ჩვენი მომავალი თაობის მორალურ, ზნეობრივ, პოლიტიკურ აღზრდასთან და ასეთ საკითხებში კი შეცდომის დაშვება არ შეიძლება. ამ მიმართებით საინტერესო ღონისძიება განხორციელდა გასულ და მიმდინარე წელს. კერძოდ, უკვე 150 თანამშრომელმა გაიარა 15-დღიანი პედაგოგიზაციის კურსები, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა.


მიმაჩნია, რომ, როცა საქმე მოზარდთა დანაშაულების პროფილაქტიკას ეხება, სისტემატურად უნდა ვეძებოთ მუშაობის ახალი, ეფექტური ფორმები და მეთოდები. მაგალითად, საინტერესოა ხობის რაიონის შინაგან საქმეთა და განათლების განყოფილებების გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „მიკრომილიციების“ შექმნის საქმეში. ამ თვალსაზრისით, იქნებ თავისი დადებითი როლი შეასრულონ ე. წ. „ამხანაურმა სასამართლოებმა“. ხომ არ ჩათვლიდა სახალხო განათლების სამინისტრო მიწანშეწონილად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა ასეთი საზოგადოებრივი ორგანოს შექმნას? შეიძლებოდა დებულების ან წესდების შედგენა, ხოლო „ამხანაური სასამართლოს“ შემადგენლობის არჩევა მოსწავლეთა მიერ საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გზით. იქნებ ვხინჯოთ და ვნახოთ რა გამოვა? ესეც ხომ მოსწავლეთა თვითმმართველობის თავისებური ფორმაა.

აი, ასეთი ნაუცბათევი აზრები გამიჩინა თქვენი სასურნალო მახალის წაკითხვამ და კმაყოფილი ვარ, რომ იგი წინასწარ გამაცანით. კარგი პრაქტიკა გქონიათ. მე მომწონს და მადლობელი ვარ.

**უოთა გორგომაე,**  
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი. შინაგანი სამსახურის განერალ-ლეიტენანტი.




მცხეთა. ნათლობა.



ფოტო ბადრი ვადაკორიასი





ათი წლის მანძილზე პირველად მოემზადა საგულდაგულოდ გაკვეთილის ჩასატარებლად და რა გამოვიდა? კლასი სანახევროდ ცარიელია, დარჩენილებიც ფანჯრისკენ შეტრიალებულან, თუმცა იქცის ნაგლეჯის მეტი არაფერი ჩანს.

— მეგონა, ვალაქტიონს მაინც მოუსმენდით, — გაჩუმდა უეცრად.

გაკვირვებული მზერა ესროლეს თვალზე ცრემლმომდგარ მასწავლებელს.

— თქვენ რა, ვალაქტიონი გგონიათ თავი? — იხუმრა ვილაძემ.

— დათო, გაჩუმდი! — მერხიდან ავადმყოფური გარეგნობის, ფერმკრთალი, სუსტი გოგონა წამოდგა. — რას ნიშნავს ადამიანის ორად გაყოფა, ვაჭრა? რევოლუციამდელი პოეტი, რევოლუციის შემდგომი ვალაქტიონი. რომელი წიგნებიდან იხელმძღვანელებთ? დასაწვავია სუყველა.

— მაია მართალია. ტყუილად ცდილობთ პოეტობის წარმოგვიდგინოთ საქართველოს ურგვირგვინო მეფე. მგოსანი, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, — მეგობარს გვერდში ამოუდგა მზია.

— კი მაგრამ, ბავშვებო, რევოლუციის ვალაქტიონმა საუკეთესო ლექსები უძღვნა, მათი ბადალი ქართულ პოეზიაში არ მოიპოვება.

— შესაძლოა. მსგავსი, ან ტოლი ვალაქტიონისა მოიპოვება?

— არა, მაგრამ...

„მე ვიტყვოდი აი, რას, ეს ცხოვრება იმან ზრას, ვინაც ვადაურჩება ათას ცხრაას ოცდა-ცხრას“..

ნატა დაიძაბა. არა, ეს ლექსი ნამდვილად არ გაეგონა. არადა უთუოდ ვალაქტიონს ეკუთვნოდა, რალაცის საბუთად, დასამტკიცებლად სჭირდებოდათ ამ მატრაკვეცა გოგონებს, და იმისათვის დაიზებირეს. სიმართლის თქმა სჯობდა. ახლა თითონ უნდა ელიარებინა, პოეტის არქივის შესახებ რომ არაფერი იცოდა.

— იცით რა ზღებოდა საქართველოში 1929 წელს? ან ცოტა უფრო ადრე? უფრო მოგვიანებითაც? რატომ დაიჭირეს და გადასახლეს ვალაქტიონის საყვარელი მეუღლე, რომელიც დაშინებული და დაბეჩავებული, მეუღლისაგან წლების განმავლობაში ამაოდ ელოდა წერილებს? რისი ეშინოდა ვალაქტიონს? რამ მოაკვლევინა თავი?

— უმეგობრობას, მარტოსულობას რატომ უჩიოდა? სად იყვნენ ქართველი პოეტები?

მთელი კლასი აღელდა, ახმაურდა, ერთდროულად ალაპარაკდა. ნატა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მისმა ინდეფერენტულმა, ზარმაცმა, ქართული ლიტერატურისადმი საკმაოდ გულგრილად განწყობილმა კლასმა, ამდენი რამ იცოდა ვალაქტიონის პირად ცხოვრებაზე. მაია და მზია გასაგებია, ფილოლოგი მშობლები ჰყავთ, მაგრამ სხვები? ან ასე მკაცრად რატომ ითხოვენ მისგან პასუხს, განა ნატას შედგენილია სახელმძღვანელოები? ან პოეტის ტრაგიკულად დასრულებულ სიცოცხლეში მას მიუძღვის ბრალი?

— სისულელეებს ლაპარაკობთ და თანაც გინდათ, რომ ყურადღებით მოგისმინოთ, გადასარეგია პირდაპირ, — მაია ადგილზე დაჯდა და ისევ ფანჯრისკენ შებრუნდა.

სიტყვა „სისულელე“ საშინლად ემწარა, ამიტომაც იმის საპირისპირო თქვა, რასაც ფიქრობდა:

# საქართველოში დასრულებული დასრულებული დასრულებული

— გინდათ, თუ არ გინდათ, მაგრამ ვალაქტიონმა უმღერა რევოლუციური საქართველოს, თანაც ისე ბრწყინვალედ, როგორც გენიალურ ოსტატს შეეფერება.

— შეაყარე კედელს ცერცვი..

— დარწმუნებული ვარ, მთელი ცხოვრების განმავლობაში სინდისი ქეჯნიდა, ამ ლექსებს რადიოთი, თუ მის საპატივმეზღოდ გამართულ საღამოებზე რომ კითხულობდნენ.

— რატომ?

— იმიტომ რომ ისინი მოტყუებული, გულუბრყვილო პოეტის კალამს ეკუთვნიან. ადამიანისა, რომელმაც სწორედ ვერ შეაფასა საქმის ვითარება, ვერ მიხვდა, სისხლის წვიმების მაუწყებელ ელვასა და ჭექა-ქუხილს რომ შეეგება სიხარულით.

— დაუკვირდით, რას ლაპარაკობთ, რევოლუცია სისხლის გარეშე წარმოუდგენელია, ნებით ძალაუფლებას არავინ არ თმობს.

— მართალია, მაგრამ სამართლიანი, დემოკრატიული, სოციალისტური სახელმწიფოს ფესვებს რატომ სჭირდებოდა ნიადაგის სისხლით გაპოხიერება?

— სტალინის კულტი...

— აუუ..

კლასი ახმაურდა. ვილაძემ ტაშიც კი შემოპკრა.

ბედად ზარის ხმა გაისმა და ნატამ მასწავლებელს მიაშურა.

იქაც შემოფოთებული სახეები დაუხვდა.

— ხუთ ბავშვს ჩავეტარე გაკვეთილი...

— ჩემთანაც იგივე მდგომარეობა..

— მეორე დღეა ცარიელია სკოლა, ასე თუ გავტყუდდა, არ ვიცი, რა ეშველებათ, გამოცდები კარზეა მომდგარი...

— დირექტორი დილიდან იქაა. ბევრნა-მუდარით მოყავს ბავშვებს, მაგრამ რა, ათი წუთის შემდეგ კარზე იტყვიან.

— ღმერთო, მშვიდობა იყოს.

— შენც იტყვი ხოლმე. მშვიდობა იქნება, აბა, რა, მაგრამ მანამდე იმდენი ნერვიულობის გადატანა მოგვიწევს.

ნატამ პაწაწკინტელა საათს დახედა. ბავშვი უნდა გამოეყვანა პიონერთა სასახლიდან. აჩქარდა.

ქუჩა ხალხით იყო სავსე. მისი მოსწავლეებიც, ყველანი, როგორც ერთი, კიბეებთან იდგნენ და ჭალარათმიან კაცს უსმენდნენ. ირონიული ღიმილით კი არა. როგორც მას, რამდენიმე წუთის წინ, დაძაბული ყურადღებით. ნატას საშინლად დასწყდა გული, რადგან საოცრად უყვარდა მისი საღამირიგებლო, „ეკლებიანი“ კლასი და ბედნიერი იქნებოდა, მოსწავლეების ასეთი ყურადღება, თუნდაც რამდენიმე წამით, მას რომ რგებოდა.

ნაბიჯი შეანელა. მოსწავლეებს ამოუდგა გვერდში. შეეცადა, ორატორისათვის მოესმინა. რატომღაც ვერ შესძლო. სიტყვები ესმოდა, მათი შინაარსი კი არა. ყურადღებით დააკვირდა ბავშვების სახეებს. იმდენად დასერიოზულებული, გაზრდილი მოეჩვენა წამის წინ ნანახი კლასი, რომ შეკრთა. ჩემი ადგილიც ამათ შორისაა, იმისდამიუხედავად ვეთანხმები მიტინგის ორგანიზატორებსა და მათ მიერ წამოყენებულ ლოზუნგებს თუ არაო, გაიფიქრა.

ორატორმა ლაპარაკი დაამთავრა.

— გაუმარჯოს! — თავისდაუნებურად იყვირა ნატამ.

მოსწავლეებმა შეამჩნიეს, ადგილის გამოცვლას შეეცადნენ.

— სკოლაში დაებრუნდეთ?

— არა, იყავით.

— თქვენ?

— მეც აქ ვიქნები, — დამნაშავესავით გაიღიმა ნატამ.

— დავლებული ვაქვით? — იეჭვიანეს მოსწავლეებმა.

მასწავლებელმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ისევ საათს დახედა. ცეკვის გაკვეთილი რახანია დამთავრდა.

— დათო, ძალიან გთხოვთ, ნათია მომიყვანეთ პიონერთა სასახლიდან. მელოდება. ხომ იცნობ?

— ვიცნობ, ბაფთა მარტო მაგას უკეთია მთელ სკოლაში.

ბავშვებს გაეცინათ.

— რა ვქნა, ღელაჩემი ძველი გვარდის წარმომადგენელია, თვლის, რომ მოსწავლემ აუცილებლად ბაფთით უნდა იაროს, თორემ მე თავისუფლად გაშლილ თმაში უფრო მომწონს.

— თავისუფლად ჯობია, მაგას კულულები აქვს, მოუხდება. — მაშინვე დაუდასტურეს გოგონებმა. საერთოდაც რალაცნაირი კაი ტიპია, ოღრო-ჩოღრო კბილებიც უხდება.

— ნატას ესამოვნა ქალიშვილის შექება. „კაი ტიპია“ ამათ ენაზე საკმაოდ მაღალ შეფასებას ნიშნავდა.

— დედა, აი! — ნათიამ პირი გააღო და უზარმაზარი საღეჭი რეზინი შორიდან დაანახვა ღელამისს. დათომ „პედრო“ მიყიდა.

— რატომ შეწუხდი, — ნატა ბავშვისკენ დაიხარა და უზარმაზარი ბაფთა შეხსნა გაჭირვებით. ადვილად წამოგყვა?

— მაშინვე. სხვა დროს გააფრთხი-

ლეთ მასწავლებელი, თორემ შეიძლება უცხოსაც გაყვეს

— ნწუ, — ჯიუტად გააქნია თავი ნათამ. შენ გიცნობ, დედას ბიჭი ხარ.

— უი, დათო, დედას ბიჭო, აი თურმე ვინ ყოფილხარ! — აკისკისდნენ გოგონები.

— სიტყვა „სისულელეზე“ ბოდიშს გიხდით, დანარჩენი ყველაფერი ძალაში რჩება. თქვენ უინტერესოდ გვაწვდით მასალას, ისეთი მშვენიერი პოეტის მემკვიდრეობის გაუფასურებასაც კი ახერხებთ, როგორც ვალაკიონია, — მოულოდნელად განაცხადა მათამ.

— ვაანებე თავი, რა დროს ეგ არი...


ესეც ასე. წამოეწია ახალგაზრდობის ცოდვები. ჯერ იყო და სტუდენტობა „ოქროს ხანააო“ და აუდიტორიაში ჯდომას მთაწმინდაზე ხეტილი ამჯობინა. მერე გათხოვდა. კონსპექტების კითხვაში ათენდებოდა თავზე, ცალკე ბავშვის ტირილი არ ასვენებდა და ოლონდ გამოცდისათვის მომზადებულიყო, ბიბლიოთეკებსა და არქივებში სიარულის დრო ვის ქონდა. ამიტომაც, რომ ოცნებობდა, ისეთი პედაგოგი ვერ დადგა ჩვეულებრივ, ტრაფარეტულ სიტყვებს კი აღარ ენდობოდნენ მოსწავლეები. თავად მასწავლებელთა წყალობით ნაადრევად „დაბრძენებულები“, იმდენი უსამართლობა და უწყესრიგობა ენახათ ამ ათი წლის განმავლობაში სკოლასა, თუ საკუთარ ოჯახში.

ნატომ იცოდა, გოგონების უხეშობასა და თავხედურ ტონს, ისევე არ ქონდა არსებობის ულება, როგორც საშუალო დონის პედაგოგს. მით უფრო, თუ ეს პედაგოგი სკოლაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. არადა ოჯახი, შვილები, მოუცლევობა ახლა უკვე არგუმენტებად აღარ ვარგოდა. რახან ორივეს ვერ უძღვებოდა, მაშინ პედაგოგობისათვის თავი უნდა დაენებებინა და ადგილი (სიმწრით ნაშოვნო) უფრო ღირსეულისათვის დაეთმო. პრაქტიკაზე მოსული ახალგაზრდები გაახსენდა, ვერაფერი შვილები იყვნენ ისინიც. ისევ მოსწავლეებზე გაბრაზდა, გაუზრდელეს, რაც მოადგებათ ენაზე, ყველაფერს ამბობენო. რასაკვირველია, ნატას მათი დასჯა შეეძლო, მაგრამ მაშინ გულმოწყალებე პედაგოგის სახელს უნდა შელეოდა, ამის მეტი კი, ათი წლის განმავლობაში ვერაფერი შეემატებინა საკუთარი სახელისათვის და იოლად ვერ დათმობდა.

მშვიერი ნათია კმაყოფილი სახით მიერთმევდა ნამცხვარს, ისევ დათომ იყოჩაღა, ჯაღოქარივით უეცრად გააჩინა. ბავშვმა მაშინვე კრემით მოითხუპნა ცხვირ-პირი და ახლა ხელში აყვანა ითხოვა. კლასში ყველაზე მაღალი, გიკა დაიხარა. უზარმაზარ მკლავებში მოიმწყვდია და ჩიტივით შემოისკუბა მხარზე.

— ვხედავ, სუყველას ვხედავ, დედა! — გამხიარულდა გოგონა.

ნატამ მიმოიხედა. ხალხის ნაკადი მატულობდა. რამდენიმე ცნობილი პიროვნება შეამჩნია. მერე ყოფილმა თანაკურსელებმა, კარგა ხნის უნახავმა ამხანაგებმა გადაკოცნეს. არა გრცხვენია, ასე უნდა დაკარგვო, უსაყვედურეს. ნატა თავისდაუნებურად გამხიარულდა, გახალისდა. ადრე სპეციალურად სახეზე „მორგებულო“ ღმიბილი ბუნებრივი გახდა. ორატორის სიტყვებიც გაარჩია. თითქოს არაფერს განსაკუთრებულს არ ამბობდა, ნაცნობი იყო ყველაფერი და მაინც საშინლად ძნელი, ტკივილიანი მოსასმენი.



მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

— პოეტმა ქალმა, რომელიც აქამდე სიხარულისა და სიყვარულის მომღერლად გვევლინებოდა, საშინელი რამ გვამცნო: კახეთში ლეკიანობააო, და ჩვენ კი, ისევე აუდიტორიაში დაბრუნდითო, მოგვიწოდებენ. როგორ ვისწავლოთ, რა წავიკითხოთ, რას, ან ვის მოვუსმინოთ, როცა ტვინს საშინელი დარდი გვიბურღავს. ჩვენს სისხლსა და ხორცს გასჭირვებია, თავისუფლად ვეღარ ჩასულან სამუშაოდ ვენახში. ქალები შინიდან ცხვირს ვერ ყოფენ. შეურაცხყოფენ, მასხრად იგდებენ, დასცინიან. ისევ ჩვენკენ იტკირებიან, ჩვენგან მოითხოვენ შევლას, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების წყალობით ჩავარდნილან ცეცხლში...

ნატა აღელდა. იმ წერილის წაკითხვისას თვითონაც უსაზღვრო დარდი მოაწვა გულზე. საკუთარი უმწეობის შეგრძნებისაგან იტირა კიდევ. მოსწავლეებს გახედა. ვერ გაუძლო, დამნაშავესავით მთარინდა თვალი საავდროდ მოქუფრულ სახეებს. მისი კოლეგების აზრით. ბავშვების საქმე მიტინგებზე სიარული არ იყო. ხუთი წუთის წინ, თვითონაც ისე ფიქრობდა, კვილიქია გოგო-ბიჭები იქ

ალბათ სიერის საყურებლად დადიან და ძალად იგდებენ საფრთხეში თავსო. როგორ ცდებოდა თურმე. უიმედო, ხელჩაქნეული თაობებისაგან მუცელატკივებულო ქვეყანა, ახლა ახალგაზრდებისაგან ელოდა შევლას. პირი დაელო მოურჩენელი იარას, სისხლისაგან დაწრეტილი გული ნაპირზე გარიყული თევზივით ფართხალებდა. სიყვარულს, ერთგულებას, შეწყალებას ითხოვდა.

მისგან განსხვავებით (უმწეობის ცრემლი რომ ედგა თვალში), აღზნებულ, ჯიუტად პირმოკუმულ მოსწავლეთა სახეებში უმწეობისა და მორჩილების ნატამალს ვერ ნახავდით. თითქოს თითოეულმა მათგანმა ცალ-ცალკე და სუყველამ ერთად ზედმიწევნით კარგად იცოდა, რატომ იყვნენ აქ თავმოყრილნი, რა და როგორ უნდა ეკეთებინათ შემდგომში, ძნელად სავალი, სწორი გზაც არჩეული ჰქონდათ თითქოს და არც იმას დაგიდევდნენ ვარდისფერი, სუსტი ხელისგულებით რომ უნდა ეკაფათ ეკლემბი. ნატას და მის კოლეგებს ყველაზე მთავარი რამ გამორჩენოდათ. კარგახანია ბავშვობა უკან მოეტოვებინათ მათ

მოსწავლებს, და ამიტომაც დამოკლებულ-დაპატარავებულ მოსწავლის ფორმაში სიარულზე უარს ამბობდნენ.

ერთი წლის შემდეგ შეიძლება რომელიმე მათგანი სათავის ხელში იარაღი მიეცათ და „ინტერნაციონალური მოვალეობის მოსახდელად“ უცხო ქვეყანაში სიკვდილის შესახვედრად გაეგზავნათ. ჯარისკაცი კია, მაგრამ ომში წასასვლელად ცოლოა, ბავშვია ჭერო, რასაკვირველია, არავენ იტყვია. არც სიკვდილი უწყევდა წლოვანებას ანგარიშს.

ვინ უწყის, რამდენი „ბავშვი“ გახდა მტრის საჩივრები, „უპატრონო“, თორემ „პატრონიანის“ ჯარში წასვლა თუ ხალხისათვის თვალში ნაცარის შესაყრელად აუცილებელი იყო, აქვე, რესპუბლიკაში ტოვებდნენ.

ღმერთო, რამდენი უსამართლობა იყო ქვეყანაზე, რამდენი რამაა შესაცვლელი, გამოსასწორებელი, რას მოახერხებდნენ მარტო აღშფოთებისაგან ძილგატეხილი, გრძობასაყოლილი ახალგაზრდები, დიდი საფრთხე გელითო, გამუდმებით რომ აშინებდნენ უფროსები. არადა, არ ეშინოდათ ნაცარქექიებს, კი ბატონო, მოვიდეს დევი, დედას ვუტირებთო, იქაღნებოდნენ.

მშობლებისაგან მატერიალურად მთლიანად დამოკიდებული შვილები (ნატამ იცოდა, ზოგიერთი მათგანი პირში თუ არ ჩაუდებდი კარაქიან პურს, საუზმის გარეშე დარჩენილი, მშვიტი მოდიოდა დილით სკოლაში) დამოუკიდებლობას, თავისუფლებას მოითხოვდნენ. ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ, მოგვეციოთ საშუალება საკუთარ თავსა და ქვეყანას ჩვენვე ვუპატრონოთო. ვისაც ამის ნიჭი და უნარი არ შეგწევთ, განზე გადაქით, საკუთარი შეცდომები აღიარეთ და თუ საქართველოს გაყიდვაში აღებული ვერცხლი ხელს გწვავთ, მუხლებზე დაჩოქილებმა ერს, მამულსა და სარწმუნოებას შენდობა სთხოვეთო.

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს, წყარო ანკარა, დროშები ჩქარა“. — დღევანდელი გაკვეთილი მოაგონდა ნატას.

მწყურვალი ხალხი მოსდგომოდა უდაბნოს. დაჭრილი სული თავისუფლებას ითხოვდა.

დროშებიც მოეტანათ. შვინდისფერი და თეთრი ბაირაღები სალბუნით დასდებოდა ტკივილს.

მსგავსი დროშები ნატას ადრეც ენახა, ოღონდ კარგად არ ახსოვდა, მენშევიკებს ეკუთვნოდათ იგი, თამარის ეპოქას, თუ დავით აღმაშენებელს. საქართველოს დროშა რომ იყო, უქვევლია, მაგრამ ტრადიციული ღერბის უქონლობამ და განსხვავებულმა ფერმა დააქვევა. თეთრ ბაირაღზე ბედად ჭვარი შენიშნა და დამშვიდდა, მიხვდა, ეკლესიას ეკუთვნოდა. საკუთარი უმეცრებისა შერცხვა. ნათიას რომ ეკითხა, ეს რა დროშებიაო (პატარა დროშები, საბავშვო ბაღში ზეიმის დროს რომ ურიგებენ, სულ სხვა ფერისა და მონატულობისაა) რა უნდა ეპასუხა შვილისათვის? შემცბარ მასწავლებელზე! დიდხანს იცინებდნენ მოსწავლეებიც...

კიდევ კარგი, ზაფხული მოდის, ჩემს თავზე ვიმუშავებ, ბიბლიოთეკებიდან ცხვირს არ გამოვყოფ. არავითარი ავარაკები, სოფელში გავაგზავნი, დედამთილი ჩემზე უკეთ მოუვლის ბავშვებსო, გულს ასკდებოდა ნატა. თვითონ უამრავი

რამ არ იცოდა, მოსწავლეების გამუდმებული კითხვები კი აღიზიანებდა, ცნობისმოყვარეობას თავხედობაში უთვლიდა. დღედაღამ იმაზე ფიქრობენ, როგორმე უვიცობაში მამხილონო, ეწუწუნებოდა მეუღლეს. წყენის ჩრდილმა გადააუარა სახეზე წამით. წინათ დროშებს ოქროს ძაფით ქარგავდნენ, ისე ატანდნენ ომში წასულთ.

საღაც წაკითხული გაახსენდა. ნეტავი რას აქარგავდნენ, ინიციალებს თუ სხვა რაიმე განსხვავებულ ნიშანს?

— ბავშვებო, სიტყვას გაძლევეთ, — ყელში მობჯინილი მლაშე გორგალი გადაყლაბა ნატამ. მისკენ არავის გამოუხედავს, ეტყობა, ჩურჩულით თქვა, ეს თვითონ ეგონა. მთელი ხმით ვიყვირო. საშინლად გაბრაზდა საკუთარ თავზე.

მოსწავლები დაძაბული უსმენდნენ ახალ ორატორს. ცდილობდნენ, მისი სიტყვებიდან ყველაზე მართალი, ნაღდი გამოერჩიათ, და დაემხსოვრებინათ. მათი მასწავლებელი კი ოროსანი პიონერით იკრემლებოდა და პირობას დებდა, გამოვსწორდები, მეტს აღარ ვიზამ, ამიერიდან სრულყოფილ მასალას მოგაწვდით, არქივებში მოპოვებულს, უაღრესად საინტერესოსო.

სიამოვნებით გაეცლებოდა იქაურობას და სკოლას შეფარებული ტირილით იჯერებდა გულს, ნათია რომ არ ჰყოლოდა თან. გაქცევასაც არ აპატიებდნენ მოსწავლეები, სიმბდალეში ჩამოართმევდნენ. ცრემლები გადაყლაბა და ღიმილიანი თვალები მოავლო იქაურობას.

„შეერთდით!.. შეერთდით!.. შეერთდით!“... — ისევ ლექსის სტრიქონები აეკვიტა.

ვინ უწყის, ეგებ სწორედ ეს გათენება, შეერთება და თავისუფლება იწინასწარმეტყველა გენიალურმა პოეტმა? ეგებ მისმა თაობამ სიყვარული დააკლო გალაკტიონის სახელზე და ღვთაებას, ამიტომაც დარჩა მათთვის ბოლომდე შეუცნობი და მარტოსული? ამათ კი, დიდ-თოვლობას გადარჩენილმა მძლავრმა ნერგებმა ჰპოვეს საკუთარ არსებაში თავგანწირვისა და ერთგულების უზარმაზარი, შემძარწუნებელი ძალა, და საზღაურად ამ სიყვარულისა, გალაკტიონმა ის საიდუმლო უჩუროჩულა, მანამდე მხოლოდ ღამესა და მთვარეს რომ ანდობდა.

არასოდეს უგრძნია მშვენიერი სტრიქონების სიძლიერე ესოდენ ძალუმად. არც ლექსის წაკითხვის, ხმამაღალი, საჯაროდ გამოსვლის სურვილი ჰქონია ოდესმე. ახლა კი სურვილი წყურვილად ექცა. ის, რასაც მიაგნო, ქვეყნიერებისათვის უნდოდა ემცნო. ეს ერთადერთი შანსი იყო, ჩაშლილი გაკვეთილი საჯაროდ გაეგრძელებინა და საკუთარი მოსწავლეებისათვის ეჩვენებინა, რომ ისეთივე სიყვარულითა და მოწიწებით ეპყრობოდა და ეთავყვანებოდა გენიალური პოეტის მემკვიდრეობას, ისევე გრძნობდა თითოეული სტრიქონის სიძლიერეს, როგორც მთელი საქართველო... სრულიად საქართველო...

ნატამ გაცეცხლებული მოსწავლეების თვალები ზურგსუკან მოიტოვა და მიკროფონისაკენ გაიკვლია გზა. დანამვილებით იცოდა. სწორედ ამ წამისთვის, ამ დღისათვის იწერებოდა ეს ლექსი.

ქეთევან მელიქიძე



ქეთევან მელიქიძე

„მერანის“ დარბაზებში გამოფენილი ექსონატების დათვალიერებისას კიდევ ერთხელ შეუფხიზლდა გონება ქართველ კაცს. ჩვენს თვალწინ მართლად და შეუღამაშებლად წარმოსდგნენ ქართველი ემიგრანტები.

სამშობლოში ჩამობრუნდა ბედის უკუღმართობით ჩვენგან შორს, ემიგრაციაში გახიზნული სახელები. ჩამობრუნდნენ შესანიშნავი წიგნებით, ნაშრომებით, უნიკალური ფოტოებით.

აი, აგერ გრიგოლ რომაქიძე — „გველის პერანგის“ ავტორი, კაცმა, რომელმაც წინასწარ იყონსა მომავალი საფრთხე და თავი შეაფარა უცხოეთში. რამდენი რამ დაუწერია და შეუქმნია ამ ჩინებული ოსტატის ხელს. აგერ ვიქტორ ნოზაძე — არაერთი უკვდავი გამოცემის წამომწყები და თავაკაცი საზღვარგარეთ, ასეთი დიდი ამაგი რომ დასდო ქართული სიტყვის გენიას.

აგერ მიხეილ წერეთელი, ზურაბ ავალიშვილი, თამარ და აკაკი პაპავები — მეცნიერული თუ მხატვრული სიტყვის მერქუჭორთმეები. გულზე გვხვდება სიტყვა თბილი და დახვეწილი, მშობლიური ტყე-ჭაღების სურნელებით რომაა გაუღენთილი.

სტენდებზე ფაქიზად, მაღალი გემოვნებითა და საქმის ცოდნითაა განლაგებული ფოტოები ისეთი მოცეკვავეებისა, როგორცაა ელა ჩერქეზიშვილი და თამარ თუმანიშვილი. მსოფლიო იცნობს მათ, სამშობლოში კი ახლა გავიცანით. მათ გვერდით მსახიობების — მარია ალიხანაშვილისა და გენერალ კვინიტაძის შვილიშვილის მარიამ დე აბოს ფოტოები. ცოტა მოშორებით მომდრალი ელენე თარხნიშვილია; ბალერინა და მხატვარი ეთერ და ვერა ფალავია.

ბევრი რამის მოქმელია შეფიცულითა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში — ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩოხა-ახალუხში, თავისი შავი ფაფახით. აქვე ახლოს ქაქუცა საწერ მაგიდასთან.

გამორჩეულ ადგილზეა ნოე უორდანიას წიგნი „ჩემი წარსული“, კარლო ინსარაძის ნაშრომები „პატარა ოქროს ხანა“, „აქ იყო კართაგენი“, ვლასა მგელაძის „მოგონებები“.

„26 მაისის აღნიშვნა ლევილიში“. ეს ისეთი ფოტოა, უცრემლოდ ვერ დახვდავ. ფერმკრთალ სახეებზე აწერიათ ყველაფერი სამშობლო დაკარგულ ადამიანებს. მხატვარ ფელიქს ვარლამიშვილის ნახატებშიც სამშობლოს მოშორებული კაცის სევდაა. ლადო სააკაძის „მზის ჩასვლისასაც“ ამ ნაღვლიანი განწყობილებით გამოძახილია.

ასეთ მოკლე წერილში შეუძლებელია ამ გამოფენის დირსებათა თუნდაც უბრალო შეფასებაც კი. დიდი და დაუფასებელი შრომაა გაწეული. მისი ინიციატორი და თავისმომბმელი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გურამ შარაძეა. ძნელია ამდენი ძვირფასი რელიქვიის თავმოყრა და საქართველოში ჩამოტანა. მაგრამ ეს შესძლო გურამ შარაძემ. ცხადია, ეხმარებოდნენ მას სხვებიც, როგორც თვითონ ამბობს, მის გვერდით იყო „ლონდონში — აკაკი რამიშვილი, ნოე რამიშვილის ვაჟი, მიუნხენში — ილია კუჭუხიძე, კარლო ინსარაძე, სოსო ჟორჯიანი, მადრიდში — თამარ ბერიძე, პარიზში — მამია ბერიშვილი და გიორგი ნოზაძე...“

უპველად დიდი საქმე გაკეთდა. ხელშეწყობითა ეს კარგი წამომწყება. დიხაც, უფრო უკეთ უნდა იცოდეს საქართველომ თავისი შვილების ბედი უცხოეთში.



ერეკლე ბაგრატიონი.




ირაკლი წერეთელი და მისი ბიძა ნიკო ნიკოლაძე.



კარლო ჩხვიძე.

# ქართული ემიგრაცია



ნოე ჟორდანია.

ევგენი გეგუქორი.

ნოე რამიშვილი.

ირაკლი (აკაკი) წერეთელი.





ქაქუცა ჩოლოყაშვილი.



თამარ და აკაკი პაპაევები.



ბალერინა ეთერ ფალავა



ვერა ფალავა.

ფელიქს ვარლამიშვილის ნამუშევარი.



ფრანგული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი მარია (მერკუ) ალიანაშვილი.


ქართველი მოცეკვავე შოთა აბაშიძე.



ოკროპედელი გუჩი ამბუკელი.



მარიამ დაბო —  
გენერალ გიორგი  
კვინიტაძის  
შვილიშვილი  
ცნობილი კინომსახიობი.



მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავი.



ფელიქს ვარლამიშვილი და მისი მეგობარი ნიკოლოზ მამულაშვილი.



# JESUS

OF NAZARETH

William Barclay



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

Based on the film directed by Franco Zeffirelli

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესია ჩვენს ქვეყანაში. მან განვითარების რთული და ვრცელი გზა განვლო. მეფისნაცვლის კანცელარიის ბიბლიოთეკის საფუძველზე 1846 წელს დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი საზოგადო მოღვაწეების — დიმიტრი ყიფიანის, ზაქარია ერისთავის, მიხეილ თუმანიშვილისა და სხვათა თაოსნობით 1848 წელს მას გადაეცა თბილისის პირველი კერძო ბიბლიოთეკის 510 ტომისაგან შემდგარი წიგნადი ფონდი. ამჟამად საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა მრავალმილიონ წიგნს ითვლის. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უცხოურ ლიტერატურას.

ამ საინტერესო ფონდის თაობაზე ჩვენმა კორესპონდენტმა **იამზე ბასილიამ** რამდენიმე შეკითხვით მიმართა უცხოური ლიტერატურის დამკვეთებისა და დამუშავების განყოფილების გამგეს **ციალა ჩიკაშვილს**.

**კითხვა.** ქალბატონო ციალა, ბიბლიოთეკაში თავიდანვე იყო უცხოური წიგნები გარკვეული რაოდენობით. წლების მანძილზე საკმაოდ მრავლდებოდა მათი რიცხვი. რა გზებით ხერხდება ეს?

**პასუხი.** დამკვეთების მნიშვნელოვან წყაროს შეწირულება წარმოადგენდა და წარმოადგენს. მე ამით იმიტომ ვიწყებ, რომ ბიბლიოთეკაში თავმოყრილია მრავალი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, მწერლის, დაწესებულებისა და ორგანიზაციის კოლექციები, რომლებიც ძირითადად საჩუქრის სახითაა გადმოცემული. ამ სა-

შვილიშვილო საქმეს ეწეოდნენ და ამჟამად ეწევიან როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველები, უცხოელი ქართველოლოგები და მრავალი სხვა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

1988 წლის ნოემბერში გამოსახვის თაოსნობით თბილისში ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატების წიგნის კვირეული. გამოფენა ჩვენს დარბაზში მოეწყო. მოვიდა უამრავი მნახველი. იყო დიდი გამომხატურება. ამ ფონდის ძირითადი ნაწილი (759 წიგნი) ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკას დარჩა.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ თბილისში, რუსთაველის მოედანზე, არსებობს მალაზია „მეგობრობა“, რომელშიც იყიდება სოციალისტურ ქვეყნებში გამოცემული ლიტერატურა. №1 წიგნის მალაზია „საუნჯეს“ რუსთაველის გამზირზე აქვს კაპიტალისტური ქვეყნების გამოცემების განყოფილება. ამ მალაზიებიდან ბევრ საინტერესო წიგნს ვიძენთ. ვყიდულობთ კერძო პირებისგანაც.

50-იანი წლებიდან ბიბლიოთეკას უცხოური ლიტერატურის შესაძენად გამოეყო ვალუტა თემცა ძალიან მცირე, მაგრამ მაინც ხერხდება წელიწადში 25-მდე დასახელების პერიოდული გამოცემის და 10-15 დასახელების წიგნის შემოტანა. ეს უმთავრესად საცნობარო ლიტერატურაა: ენციკლოპედია, ლექსიკონები, ბიბლიოგრაფიები.

1957 წლიდან კიდევ ერთი წყარო გაჩნდა — წიგნის საერთაშორისო გაცვლა. ამ მიზნით ამჟამად აქტიური კავშირი გვაქვს ოცდასამი ქვეყნის ორმოცდახუთ ორგანიზაციასთან, მსოფლიოს ქართველოლოგიურ კერებთან. ეს ჩვენს

ფონდს ავსებს დაახლოებით 600-700 ერთეული წიგნით, პერიოდული და სხვა გამოცემებით.

უცხოური ლიტერატურის დაკვეთა ხდება მრავალი ქვეყნის ბიბლიოგრაფიების, თემატური გეგმებისა და საგამომცემლო კატალოგების დამუშავების შედეგად.

**კითხვა.** ბიბლიოთეკას უცხოური ლიტერატურის შემოტანისათვის რა ფულადი ფონდი აქვს და რა საშუალებით იღებთ ვალუტას?

**პასუხი.** ბიბლიოთეკის წლიური ბიუჯეტისაგან ამ მიზნით გამოყოფილია დაახლოებით ოცი ათას მანეთამდე, ვალუტის თანხას კი გამოყოფს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

**კითხვა.** დამუშავების შემდეგ სად იგზავნება ახალშემოსული ლიტერატურა?

**პასუხი.** იგი ბიბლიოთეკური დამუშავების შემდეგ ჩადის წიგნსაცავში, საიდანაც გააქვთ დარბაზში საგამოფენო სტენდებზე. ორი კვირის განმავლობაში მკითხველს საშუალება აქვს, გამოიყენოს მისთვის სასურველი წიგნი, თუ პერიოდული გამოცემა. შემდეგ კვლავ უბრუნდება წიგნსაცავს. აქედან წიგნის მიღება შეეძლება ბიბლიოთეკის ფონდებით სარგებლობის საერთო წესების მიხედვით.

**კითხვა.** უცხოური ლიტერატურის დამკვეთებისა და დამუშავების განყოფილება 1960 წლიდან შეიქმნა. რამ განაპირობა ეს და რა კეთდება თქვენთან უცხოური ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით?

**პასუხი.** ჩვენ ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ თვალნათლივ განაპირობა უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებისა და მიღწევების ცოდნის აუცილებლობა. საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილებით რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებში შეიქმნა უცხოური ლიტერატურის განყოფილებები, რომელთა ფუნქციაც განისაზღვრა აქტუალური საზღვარგარეთული ლიტერატურის შეძენითა და მისი პროპაგანდით.

უცხოური ლიტერატურის პროპაგანდის ერთ-ერთი საშუალებაა გასვლითი გამოფენები. ამგვარი ღონისძიებები სისტემატურად ტარდება მხატვრის სახლში, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში, სამხატვრო აკადემიაში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ და სხვაგან.

მკითხველთათვის ახალშემოსულ ლიტერატურაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით, გამოცემთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან ერთად, ახალშემოსულ უცხოურ ლიტერატურის ბიულეტენებს, აგრეთვე მომავალი წლისათვის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოწერილ პერიოდულ გამოცემათა სიებს, რომლებიც ეგზავნება 200 სამეცნიერო ორგანიზაციასა და ბიბლიოთეკას.

ვფიქრობთ, ჩვენი ფონდები დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს მრავალმხრივი და ღრმა ცოდნის შეძენაში.

## საუი უესკვერკა

არიალანა ეზრონი

უფროსი „წველამ“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა მარინა ცვეტაევის ქალიშვილის არიალანა ეზრონის (1912-1975) „წვეპირი მოთხრობები“, რომლებიც 1969-73 წლებში ჩაიწერა ე. კორკინამ.

ვბეჭდვით ერთ „მოთხრობას“.


როდესაც პარიზში, უფრო სწორად, მის გარეუბანში ვცხოვრობდით, მე ლუვრთან არსებულ სამხატვრო სკოლაში ვწავლობდი, წიგნის გრაფიკას ვეუფლებოდი. ჩემს მშობლებს მხოლოდ ერთი ტრიმესტრის ფულს გადახდა შეეძლო, ხოლო მე ამ ერთ ტრიმესტრში ფრანგებს რუსული ნიჭის მთელი

ბრწყინვალეა ვუჩვენე და იმათაც ნება დამრთეს სწავლა გამეგრძელებინა. მაშინ ძალზე გახლდით გატაცებული კინოთი და იმ ხანებშივე ამოვწურე კიდევ ჩემი გატაცება. მას შემდეგ კინოში არც კი ვყოფილვარ. კინომსახიობების შესახებ ყოველგვარი ცნობებით ვიყავი აღჭურვილი. ერთადერთი რამ, რაც ყველაზე კარგად ვიცოდი ცხოვრებაში, კინომსახიობები და მი-თოლოგია გახლდათ.

და აი, პარიზში ჩამოვიდნენ მაშინდელ კინოვარსკვლავთა შორის კინოვარსკვლავები — დუგლას ფერბენკსი და მერი პიკ-ფორდი. იმ დროისათვის ფერბენკსი მამაკაცის იდეალი და დიდებული აკრობატიც გახლდათ: ყველა ფილმში იგი სახლის სახურავიდან ხტებოდა და ა. შ. მერი პიკფორდიც ქალის იდეალად იყო აღიარებული. ასეთი ტიპის ქალები ახლა აღარ არიან მოდში. ის იყო პატარა, ძალზე მინიატურული, ტუჩოვანი და თაფლისფეროვანება ქერა ქალი.

ისინი ამერიკის საელჩოში მოეწყვნენ და ყველას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს იქიდან საერთოდ არც გამოდიოდნენ.

და აი, ერთხელაც მოვივიარე მონპარნასის ბულვარზე, თუმცა რა ბულვარი ის არის, ჩვეულებრივი ქუჩაა, ხეები იქ არ არის და არაფერი. თითქმის ყველა სახლს აქვს ან კაფე, ან მა-



ლაზია, ხან ერთ კაფეში ზის ერენბურგი, ხან მეორეში და საერთოდაც, იქ თავსაყრელადაა ყოველნაირი მოდილიანები. იმ ხანებში იყო ერთი სახლი, რომელიც გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა, მის სანახავად საგანგებოდაც მოდიოდნენ ხოლმე, ახლა კი ეს სახლი სავსებით ჩვეულებრივი სახლია. იგი რვა თუ ცხრასართულიანი გახლდათ. მთელი ფასადი შუშისა ჰქონდა და რომელიღაც ყვავილების ფირმას ეკუთვნოდა. პირველ სართულზე მალაზია იყო მოთავსებული, თვითონ ფირმა და კანტორა კი დანარჩენებზე. ფირმა ქვეყნის ყველა კუთხიდან იღებდა. შეკვეთებს, სამაგიეროდ აგზავნიდა ყვავილებს ან დაკვეთებს ზუსტად ასეთ ყვავილებზე ნებისმიერი ქვეყნის საბაჟო ფირმებთან. მალაზიას უზარმაზარი ვიტრინა ჰქონდა. ვიტრინაში ყოველდღე ცვლიდნენ ყვავილებს: ხან ნაირ-ნაირ საუცხოო იასამანს გამოფენდნენ, ხანაც მწვანე მოლზე ლამაზად გამოწყობულ წნულელებში ჩალაგებულ პარმულ იებს. ვიტრინაზე მუდამ დიოდა წყალი, რათა ყვავილებისათვის ნესტიანი გარემო შეექმნათ. და ეს ისეთი მშვენიერი სანახაობა გახლდათ, რომ ყოველთვის, როცა კი სასწავლებლიდან მონპარნასის ვაგზალზე მივდიოდი საგარეუბნო მატარებელში ჩასაჯდომად, შემოვივლიდი ხოლმე, რათა აუცილებლად ამ ვიტრინისათვის წამეველო თვალი.

ჰოდა, ერთხელაც შეეჩერდი და ვუცქერ ყვავილებს, მალაზიაში ნახევრად ბნელა და ხალხიც ცოტა მოჩანს. უცებ შემთხვევით შეიგნო შევიხედე და ვხედავ — მერი პიეტორი ვარდებს არჩევს და დუგლას ფერბენკსიც კვერდით უდგას! თვალის დახამხამებაში გაეჩნდი მალაზიაში და რადგანაც გამეგონა, რომ პიეტორმა ფრანგული სულ არ იცოდა, ხოლო ფერბენკი ძალიან ცუდად ლაპარაკობდა, თამამად მივედი მასთან და ვთხოვე, ჩემს რომელიმე ნახატზე ავტოგრაფი გაეკეთებინა, თანაც დაეუმატე, ძალზე მოხარული ვარ პარიზში თქვენი ხილვით-მეთქი. პიეტორმა ინგლისურად წაიკრუტუნა რაღაც, ფერბენკსმა კი ძალზე უხერხულად ფრანგულით გადამიხადა მადლობა და უტყვი ვარდი თაიგული გამომიწოდა, სწორედ ისეთი თაიგული, როგორც მერი პიეტორსა ჰქონდა — საუცხოო, გუტალინივით შავი, წერწეტა ვარდები.

ფრთაშესხმული გავქანდი სახლისაკენ. შევვარდი ჩვენს ოთახში, ვხედავ დედა მაგიდასთან რვეულს უზის, აი, ასე ხელზე შუბლდაყრდნობილი. მუდამ ასე იცოდა ჯდომა, შუბლს ზემოთ თმა უკვე ვასკალარაგებოდა... ჰოდა, შევვარდი...

— დედა! — ვყვირი იმ ჩვეული გულბრყვილობით, რომელიც დედას ასე არ მოსწონდა. — დედა, რომ იცოდეთ, ვინ ვნახე!

- ვინ ნახე? — ასწია დედამ თავი.
- დუგლას ფერბენკსი და მერი პიეტორი!
- მერე რა?

— როგორ თუ რა? ნახეთ, ფერბენკსმა რა ვარდები მაჩუქა! დედამ თაიგულს გულგრილად შეხედა.

— სჯობდა ფესაცემელი ეყიდათ შენთვის, — თქვა მან და კვლავ რვეულისაკენ დაიხარა.

მე კი მაშინვე დავჯექი და კინოჟურნალს წერილი მივწერე — ნახეთ რა გოგო ვარ, თქვენ ვერაფერი ვააწყეთ, მე კი ისინი კიდევ ვნახე, კიდევ ველაპარაკე და საჩუქრად ვარდებიც მივიღე-მეთქი! რაკიდა რედაქციას სხვა არაფერი მასალა არ გააჩნდა დასაბეჭდად, აიღეს და ჩემი წერილი გამოაქვეყნეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კი თავად მე გამომიგზავნეს წერილი:

„მადამუაზელ, რატომ ჰონორარისთვის არ მობრძანდებით?“.

მადამუაზელი, რა თქმა უნდა, ჰონორარისთვის მაშინვე გავარდა. რედაქტორი კი მეუბნება:

— მადამუაზელ, თქვენ შესანიშნავად წერთ და შეგეძლოთ ჟურნალისტი გამხდარიყავით, მაგრამ ამისათვის წერის გარდა იღბალიცაა საჭირო.

— ო, მე ბედი მუდამ მწყალობს.

— მაშინ ასე შევთანხმდეთ. თუ თქვენ კიდევ მოგიწევთ ორი ასეთი შეხვედრა, ესე იგი, სულ სამი შეხვედრა, მოდით ისევ ჩვენთან. ოღონდ ერთი პირობით, ეს უნდა იყოს შემთხვევითი შეხვედრები, საგანგებოდ არ უნდა ეძებოთ.

რედაქტორმა იმ ჟურნალების მთელი დასტა გადმოცა. სადაც ჩემს „ნაწარმოებთან“ ერთად დუგლას ფერბენკსისა და მერი პიეტორის სურათები იყო დაბეჭდილი, და მეც წამოვედი.

მოვდივარ ქუჩაში, ჯიბეში ჰონორარითა და იღლიაში ჟურნალების დასტით, ირგვლივ ზღვა ხალხია. უცებ ვხედავ ხალხს ზემოთ ვილაციის თავი მოჩანს: შალიაპინი! მოდის შეუღლესთან ერთად, ქერა, მალალი, ტუჩებთან ღრმა ნაოჭები დასჩენია. მაშინვე მისკენ გავქანდი და რადგანაც ვიცოდი, რომ კომპარტიოტები არ უყვარდა და საერთოდაც რუსებს არ ელაპარაკებოდა, სუფთა ფრანგულით მიემართე:

— მუსიე, ყველანი მოხარული ვართ პარიზში თქვენი ხილვით! თქვენზე ამბობენ, ფილმ დონ-კიხოტში“ იღებენო.

შალიაპინი ღიმილად იქცა:  
— დიახ... „დონ-კიხოტში“ გადამიღეს... და შალიაპინი მოკვება გადალებებზე ლაპარაკს, მითხრა, ფილმში ჩემს „ქაღალტს“ იღებდნენო, გადალებები უკვე დამთავრებულია და მსურს, აქრის ჩემს მოვედი ნიციდანო.

მე უბის წიგნაკი ამოვიღე და ავტოგრაფის ჩაწერა ვთხოვე. მან ჩაწერა: „სახსოვრად მშვენიერ ფრანგ ქალიშვილს“, და მითხრა:

— მარტო ავტოგრაფს კი არა, ახლახან გამოშვებულ ჩემს გირფიტასაც გაჩუქებთ.

ცოლისაკენ ვაიწვდინა ხელი, ცოლმაც ჩანთიდან დიდი ფირფიტა ამოიღო, მომღერალმა ზედ ლათინური ასოებით დააწერა მხოლოდ „შალიაპინი“ და გამომიწოდა. მე მადლობა გადაუხადე და ისევ რედაქციაში გავქანდი.

— აბა, ამჯერად ვის შეხვდით, მადამუაზელ?  
— შალიაპინს.

— მადამუაზელ, — რბილად შენიშნა რედაქტორმა, — ჩვენ ხომ შევთანხმდით, მხოლოდ რეალურ შეხვედრებზე დავწერდით... შალიაპინს თქვენ ვერ შეხვდებოდით, რადგან იგი ახლა ნიცაშია, ლაჟვარდოვან ნაპირებზე, სადაც „დონ-კიხოტში“ იღებენ.

მე მოვისმინე მისი განმარტებანი, მერე ორივე ავტოგრაფი დავუწვეე წინ და ვიღრე იგი ამ ავტოგრაფებს დასცქეროდა და საკუთარ თვალს არ უჯერებდა, დაუღევრად დაუუმატე:

— თუ გინდათ, ახლავე დავვადე და დავწერო... რედაქტორის ოთახიდან რომ გამოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, მესამედაც ასე იოლად შევხვდებოდი ვინმეს — ვადა ერთი თვე მომცეს.

და აი, დავდივარ პარიზში, დავდივარ და ვათვალისწინებ ყველა კაფესა და მალაზიას... არავინ მხვდება, სრულიად არავინ! ამასობაში კი დედაჩემის ნაცნობი ქალისაგან ელენა ალექსანდრეს ასულ იზვოლსკიასაგან მივიღეთ წერილი. იგი მაშინ ფონტანბლოში ისვენებდა და დედას თხოვდა სტუმრად სწევოდა. „თუ თავად ვერ მოახერხებთ ჩამოსვლას, ალია მაინც გამოგზავნეთ“.

ჰოდა მეც გავემგზავრე. ფონტანბლო საუცხოო ადგილია. აქ ოდესღაც ნაპოლეონიც ყოფილა, მაგრამ ჩემი აზრით, მას შემდეგ ამ ადგილებში ცხოვრება ჩაკვდა და მერე რატომღაც აღარც განახლებულა.

ელენა ალექსანდრეს ასულმა ჩასვლისთანავე მკითხა:  
— ალია, გინდა ნავით გაისეირნო?  
— მინდა.

იმ ადგილებში მშვენიერი სენა მიედინება. ნავიც პატარა ნავსაბმელში იდგა. მე გაჭირვებით მოვთავსდი ნაწიში და რადგანაც არც ცურვა ვიცოდი და არც ნავის ტარება, ნიჩბების ქნევა დავიწყე უთავბოლოდ. მეგონა, ნაპირებმა ელენის სისწრაფით ჩამიქროლეს-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში დინების საწინააღმდეგოდ ვცოდვილობდი რაღაცას. ბოლოს ნიჩბები ხელიდან გავაგდე, თავი უკან გადავწიე და ზეცაში დავიწყე ცქერა.

უცებ ჩემი ნავი რაღაცას დაეჯახა, შევხედე, იახტა! ლუზაჩაშვებულები იდგა თეთრი იახტა, მილიონერებს რომ აქვთ, ისეთი. ნიჩბები მოვიშველიე, რომ მოვშორებოდი. ამ დროს იახტაზე ვილაც გამოჩნდა და ვერცხლის ყავადნიდან ნალოქი პირდაპირ ჩემკენ გადმოლერა. შევხედე ყავადნიან კაცს — იგი აღმოჩნდა ახლახან ტახტიდან ჩამოვდებული ესპანეთის მეფე ალფონს XIII. მას ესპანური ლეარძლიანი სახე ჰქონდა.

— მუსიე, მუსიე! — დავუძახე მე.  
მან ზიზით გადმოხედა.

— მუსიე, მითხარით გეთაყვათ, რომელი საათია?  
მეფემ რაღაც წაიბურტყუნა, მგონი — სამისნახევარიო, და გაუჩინარდა.

იმწამსვე ნაპირზე გავჩნდი. მივედი შინ.

— იცით ახლა სენაზე ვის შეხვდით?  
ელენა ალექსანდრეს ასული კი მეუბნება:

— ალბათ ალფონს XIII-ს.  
— დიახ, თქვენ საიდან იცით?

— მას ყველა ხელება. მისი იახტა უკვე დიდი ხანია აქა დგას. ნავით მიუახლოვდებიან ხოლმე და ეკითხებიან, რომელი საათიაო.

რა თქმა უნდა, ასევე დავწერე ჩემს ჟურნალში. ამასთან, არც ის დამიძალავს, რომ მე არ გახლდით პირველი ადამიანი, ვინც მეფე იხილა. მაშინ რედაქციაში დარწმუნდნენ, რომ მე წერაც მეხერხებოდა და ბედიც მწყალობდა.

თარგმან მაკინე ჯაციაია.

# დაპიცვათ ღირსება

(გაბრძნობა. ღანაჟინი 33. 8)

შრომითი ბეგარისადმი ძლიერი მიდრეკილების ან გლეხური შრომის მილიტარიზაციის მცდელობის გამო, მიწათმოქმედებაში ევროე წოდებული სამრეწველო არმიების დაარსების გამო. მოცემულ შემთხვევაში ის როგორც კომუნისტი „მანიფესტის“ მითითებათა მკაცრი შესაბამისობით მოქმედებდა.

ბოლომდე მართალი რომ ვიყოთ, უნდა ვაღიაროთ, რომ პერმანენტული რევოლუციის მის თეორიაშიც, თუ მას გავიანზრებთ როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ, პროლეტარულ რევოლუციაში გადაზრდის თეორიას, ორიგინალური არაფერია. ყურადღებით წაიკითხეთ „ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტების კავშირისადმი“, რომელიც მარქსმა და ენგელსმა 1850 წლის მარტში დაწერეს. აქ სწორედ მაშინ დაისვა ამოცანა, რომ კერძო საკუთრებასთან ბრძოლას მისცემოდა მუდმივი ხასიათი, ესე იგი „რევოლუცია განუწყვეტელი გავხადოთ მანამდე, ვიდრე ყველა მეტ-ნაკლებ მქონებელი კლასი განდევნილი არ იქნება ბატონობის ასპარეზიდან, ვიდრე პროლეტარიატი არ დაიპყრობს სახელმწიფო ხელისუფლებას, ვიდრე პროლეტარიათა კავშირი არა მარტო ერთ ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ყველა ძლიერ ქვეყანაში არ განვითარდება იმდენად, რომ კონკურენცია ამ ქვეყნების პროლეტარებს შორის შეწყდება, და ვიდრე ვადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე საწარმოო ძალები მაინც თავმოყრილი არ იქნება პროლეტარების ხელში“.

ევროკომუნისტური მიმართულების პუბლიცისტიკა (ლაპარკია ყველა სოციალისტურ ქვეყანაზე) ხშირად ცდილობს მკითხველის დაწმენვას იმაში, რომ ბოლშევიკები მოქმედებდნენ მარქსის წინააღმდეგ ან, რომ მარქსი არ ყოფილა კერძო საკუთრების სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მოწინააღმდეგე. მარქსის მოძღვრება ჯერ არასოდეს ქცეულა მისტიფიკაციის საგნად ისე ძალიან, როგორც დღეს.

— მაგრამ, ალბათ, არ შეიძლება მარქსის იდეის არსი დავიყვანოთ მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის, კერძო საკუთრების მოსაზრების მოძღვრებამდე ან პროლეტარიატის დიქტატურამდე. თქვენი ოპონენტები, სიტყვამ მოიტანა და მარქსიზმზე, მის ინტელექტუალობასა და სულიერ პოტენციალზე რომ ლაპარაკობენ, გულისხმობენ სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და ფილოსოფიური იდეების მთელ სიმდიდრეს, რაც მარქსმა და ენგელსმა დაგვიტოვეს.

— უთუოდ, ჩვენ შევიძუშავეთ მარქსის იდეის, მისი სოციალური იდეალების უფრო სრულყოფილი წარმოდგენა, ჩავწვდით მისი რეალური ჰუმანიზმის არსს. დიალექტურ მეთოდს კარლ მარქსის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ხელნაწერების ვაცნობის წყალობით. უპირველეს ყოვლისა, ესაა „1844 წლის ეკონომიკურ-ფილოსოფიური ხელნაწერები“, „1857 — 1859 წლების ეკონომიკური ხელნაწერები“. მაგრამ, დამეთანხმებით, როდესაც ისტორიას, ოქტომბრის რევოლუციის იდეურ მოტივებს ვიკვლევთ, ვალდებულნი ვართ, დავემყაროთ იმ მარქსიზმს, რომელზეც ხელი მიუწვდებოდათ რევოლუ-

ციის ბელადებს, მარქსისა და ენგელსის იმ შრომებს, რომელთაც თვითონ აყენებდნენ პირველ რიგში როგორც რევოლუციონერები, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები.

სრულიად დაწმენილი ვარ, რომ ვარდა ბოლშევიკებისა, ისე ღრმად არავის შეუთვისებია და ისე ახლოს არ მიუტანია გულთან მარქსიზმის რევოლუციური, გარდამქმნელი არსი. თუ ამ თვალსაზრისის კუთხით წაიკითხავთ ყველაფერს, რასაც წერდნენ 1917-ში და შემდგომ სამოქალაქო ომის წლებში ლენინი, ასევე ოქტომბრის სხვა ხელმძღვანელებიც, დაინახავთ, რომ მათი შეგნება ზუსტად კლასიკოსების დარიგებით არის გამსჭვალული. ისინი მომხდარ ამბებს მარქსის თვალებით უყურებენ, მარქსი კი კომუნისტებს მოუწოდებდა, რომ მეტად არ გაემეორებინათ პარიზელი კომუნარების შეცდომები. ისინი ერთი წუთითაც არ იფიქრებდნენ, რომ კომუნარები სამოქალაქო ომის შიშმა დაღუბა, რომ თუ ისინი დამარცხდებოდნენ, ბრალი დაედება, როგორც მარქსი აფრთხილებდათ, „არა სხვა რამეს, არამედ მათ „სულგრძელობას“. მათ არ უნდოდათ, რომ „მომენტის ხელიდან გაეშვათ სინდისიერების ვაშა“.

მაშინაც კი, როცა ხელისუფლების შენარჩუნებისათვის ოქტომბრის რევოლუციის ბელადები (თავისი მრწამსის წინააღმდეგ) იძულებული იყვნენ, ტერორისათვის, თავისი კლასობრივი მტრის დაშინებისათვის მიემართათ, მათ ძალას, სიმტკიცეს მატებდა რევოლუციის მარქსისტული თეორია. მარქსი ხომ აფრთხილებდა მათ, რომ „ძველი საზოგადოების სისხლის მოყვარული აგონიისა და ახალი საზოგადოების მშობიარობის სისხლიანი წამების შემოკლება, გაადვილება და კონცენტრირება შეუძლია მხოლოდ ერთ საშუალებას — რევოლუციურ ტერორიზმს“. პატიოსნად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ვასარკვევია, ვინ ფლობდა მარქსიზმის უფრო ზუსტ მიმართებას: ის, ვინც იერიშით მიდიოდა ზამთრის სასახლისაკენ, თუ ჩვენი თანამედროვენი, რომლებიც ცდილობენ, მარქსისტული აზროვნების ისტორია უფსკრულით გამოყონ ჩვენი რევოლუციის ისტორიისაგან.

მარქსი თავისი დროის შველი იყო. ის, ისევე როგორც კრიტიკული ფილოსოფიის ყველა წარმომადგენელი, მტრულად ეპყრობოდა ბურჟუაზიული ცივილიზაციის თავისუფლებებსა და ინსტიტუტებს.

— მე მგონია, რომ პოლემიკურ ალტყინებაში თქვენ ყურადღებას ამახვილებთ მხოლოდ რევოლუციონერ მარქსზე, რომელიც არღვევს კერძო საკუთრების საფუძვლებს. თუკი ასეა, მაშინ უნებლიეთ თვითონ აგებთ კედელს — ახლა უკვე მარქსსა და ადამიანის ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპს შორის. ხომ ცხადია, რომ დღეს ძალიან ცოტას ნახავთ ისეთს, რომელიც გაბედავს და შეებრძოლება სინდისის თავისუფლების პრინციპს როგორც „რელიგიური ბანგის“ ან ბურჟუაზიული სამართლის გამოვლენას.

— ჩემი ღრმა რწმენით, აუცილებლად საჭიროა, მარქსიზმსა და სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე პრაქტიკას შორის ხიდები ძალიან მაღლა დავაყენოთ, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, არსებით დონეზე. საეჭვოა, რომ მივალწიოთ პიროვნების სულიერ ჯანმრთელო-


ბას, წისხლსავსე ბედნიერ ცხოვრებას იმ რეცეპტების დახმარებით, რომლებსაც X. L. საუკუნის სოციალისტები გვთავაზობდნენ. როგორც ახლა ვიცით, პროლეტარიატი უნდა თავსება, შრომის მრავალფეროვანი სახეობის ცვლა იმდენად როდი ავითარებს პიროვნებას, რამდენადაც არღვევს მას. მაღალი პროფესიონალიზმი მაქსიმალურ თვითუკუგებას მოითხოვს. მარქსისა და ენგელსის ათი ისეთი სოციალური იდეის მოყვანა მაინც შეიძლება, რომლებიც მოძველდნენ, დროს ვერ გაუძლეს.

მიუხედავად ამისა, თავის ძალას იწარჩუნებს მათ მიერ დასმული ამოცანა, რომ უზრუნველყვით ადამიანებსა და ბუნებას შორის ყველაზე ეფექტური და რაციონალური ნივთიერებათა ცვლა, და გავაკეთოთ ეს ადამიანისათვის ყველაზე უფრო ღირსეულ პირობებში. ვფიქრობ, უკანასკნელ დროს გახშირებული უხეში მცდელობა იმისა, რომ „ჩამოვაცილოთ“ მარქსი ჩვენს რევოლუციას, სოციალისტური მშენებლობის მთელ გამოცდილებას, უბრალო გაუგებრობით არის გამოწვეული. ამუშავდა ინსტინქტური შიში, ვაითუ სტალინიზმისათვის პასუხისგებლობა მას გადააბრალონო. მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენი წარუმატებლობის მიზეზთა მეცნიერული გამოკვლევის ფარგლებში ამ საკითხისათვის საერთოდ არ არსებობს ადგილი. მეცნიერი ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას იმისათვის, თუ რა ბედი ეწვეა მის იდეებსა და აღმოჩენებს მისი სიკვდილის შემდეგ, როდესაც თვითონ მისგან რამის შეცვლა და რაიმეზე გავლენის მოხდენა გამორიცხულია.

— თქვენ ნამდვილად დაწმენილი ხართ იმაში, რომ უსაქონლო წარმოების იდეას მომავალი არა აქვს და რომ მასზე უარი უნდა ვთქვათ, როგორც შრომის გამოცვლისა და პროფესიების შეთავსების იდეებზე?

— რა თქმა უნდა, არ შეიძლება უარყოთ აბსტრაქტული შესაძლებლობა იმისა, რომ შორეულ მომავალში, ადამიანის ცივილიზაციის სხვა კლასილზე, როგორც დღეს ზოგიერთი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი წერს, შეიძლება ხორცი შეიხან მარქსის იდეებმა უსაქონლო სოციალიზმის შესახებ, ტოტალური დაგეგმვა შეუერთდეს ადამიანის თავისუფლებებსა და უფლებებს, მიღწეულ იქნეს ნამდვილი დემოკრატია ბაზრის უქონლობის პირობებში. არ შეიძლება უარყოთ იმის აბსტრაქტული შესაძლებლობაც, რომ საყოველთაო შრომითი ბეგარა და სამრეწველო არმიების დაარსება მიწათმოქმედებაში სხვა პირობებში ყველაზე ეფექტური საშუალება გამოდგეს შრომაში გლეხის ჩასაბმელად.

მაგრამ მე მაინც ვამჯობინებ, რომ ჰუმანიტარული მატერიალისტური საზომისადმი ერთგულება შევინარჩუნო და იმას დავემყარო, რაც ცხოვრებას დაუდგენია. არ შემიძლია, არც უფლება მაქვს, დავივიწყო, თუ სადამდე მიგვიყვანა წარსულში იმ მოწოდებებმა, რომ ყველაფერში მივყოლოდით მარქსს, რომ, რადაც უნდა დაგვკლამოდა, დაგვეძლია ბაზარი. არაშორეულ წარსულში ჩვენს ცხოვრებას განსაზღვრავდა ლოგიკა, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მეტად განსხვავდება სინამდვილე თეორიისაგან, მით უფრო უარესია სინამდვილისათვის. ცხოვრებისადმი შეუპოვარი ანგარიშგაუწველობის შედე-



გები ახლა კარგად არის ცნობილი. უფლება არა მაქვს, არ დავინახო, რომ უსაქონლო სოციალიზმის, წარმოებული პროდუქციის სადარეკტივო განაწილების, სახმარი ღირებულების იდეალი, რომელმაც ხორცი შეისხა ცხოვრებაში, სავსებით მისპობს არჩევის შესაძლებლობას. ახლა უკვე ყველაფრით დამოკიდებული ვიქნები იმ გეგმის ქურუმების გემოვნებასა და ახირებაზე, რომლებიც განმისაზღვრავენ, თუ რამდენი და როგორი ფასონის შარვლები მეკუთვნის ხუთწლედში.

გვაქვს კი დღეს უფლება, რომ ყველაფერში მივეწოდოთ სამეურნეო საქმის მართვის ფილოსოფიას, რომელიც იყო შიმშილისა და სიცივისაგან ადამიანების ხსნის ფილოსოფია და ჩამოყალიბდა უბრალო ხელის შრომის დაძლევის პირობებში, როდესაც ადამიანთა გონებაზე ბატონობდნენ განმანათლებელთა ილუზიები სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ეკონომიკური სტრუქტურების სრული დაძლევის შესაძლებლობის შესახებ.

გამიგეთ, მარქსის მკვლევართა ერთსა და იმავე მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია პირობებს შექმნის უსაქონლო სოციალიზმის იდეის რეალიზაციისათვის, დასაულებლად და ჩვენში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. იქ, მათთან, ეს მხოლოდ სიტყვების თამაშია, ჩვენთან კი მოწოდებაა, რომ ყველაფერი თავიდან დავიწყეთ. არ დავავიწყდეთ, უძრაობის ეპოქის ქურუმებს რევანში სწყურიათ.

— ალექსანდრე სერგის ძეგ, მომეჩვენა, რომ თქვენს ნარკვევებში ძალიან ხშირად ასხენებთ ნინა ანდრეევას. გასაგებია, რომ საქმე ეხება არა ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელს, არამედ იდეებს, რომელთაც ის ავითარებს. მაგრამ თქვენ არ გაცბუნებთ გარემოება, რომ ამით ნ. ადრეევას პიროვნებას მისთვის შეუფერებელი მასშტაბი ეძლევა?

— ეს მეც ვიგარბენი, როცა გამოსული მასალები გადავიკითხე. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს თითქოს საჭიროც კი იყო გადმოცემისათვის. მისი ტექსტი კლასიკური ფორმით იმეორებს მებრძოლი დოგმატიკური მარქსიზმის სტილს, რომელიც არ მიიღებს არავითარ რეალობას, თუ ის არ შეეფერება ამ თვალსაზრისს: „კლასიკური მიდგომის“ მკაცრი აბსოლუტიზაცია, ადამიანთა იმ ყველდღიური საზრუნავისადმი ანგარიშის გაწევის სურვილის უქონლობა, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნის გამოცდილებამ დააგროვა. ასეთი ადამიანებისათვის დამოუკიდებლობასა და ღირებულებას კარგავს და უმნიშვნელო როლსაც არ ასრულებს მთელი ცხოვრება, მთელი ისტორია. რა თქმა უნდა, სამაგალითოდ ბევრი ადამიანის მოყვანა შემეძლო, რომლებიც დიდხანს იდგნენ ზუსტად ასეთსავე პოზიციებზე.

აქედან გამომდინარეობს მათი ზოლოკიური მოუთმენლობა და სურვილი: ყველაფრის შეფასება ბრძოლის კუთხით, „მტრის სახის“ იდეოლოგია, „კონტრევოლუციური ერების“ თეზისი და ასე შემდეგ. უმკველია, ამის იქით ევოლუციური ინტერესი მოჩანს. ეს ადამიანები მიეჩვივნენ სხვათა დაბრეკვებას, მათი ბედის განმგებლობას, მიეჩვივნენ მონოპოლიას ქეშმარიტებაზე.

— მაშ, რატომ არის ასე სიცოცხლისუნარიანი სტალინიზმი და მის მიერ გა-

მომცხვარი იდეები ახალგაზრდობის ერთ ნაწილში, რომელსაც კულტისა თუ უძრაობის სამსახურის სიკეთე არ უგებებია და, მაშასადამე, ახლა არაფერი აქვს დასაკარგავი?

— აქ ჩვენ ვერ კიდევ ვშიშობთ სერიოზულ საუბარს. ჩემი აზრით, სტალინიზმის იდეოლოგია (თუ მას გავიგებთ არა მარტო როგორც რეპრესიას, არამედ საზოგადოების ცხოვრებაზე ტოტალური კონტროლისაკენ ლტოლვას, როგორც „წარსულის“ უკუგდებას, პიროვნების ავტონომიის, ცხოვრების ნაირსახეობის, პლურალიზმის, ნიჭიერთა თავისუფალი შეჯიბრების აბსოლუტურ მიუღებლობას) ყოველთვის შეესაბამებოდა პიროვნების გარკვეულ ტიპს. სტალინიზმი, მაგალითად, სამოთხეა იმ ადამიანისათვის, რომელსაც დამოუკიდებლად აზროვნების შესაძლებლობა წართმეული აქვს. უფრო ხშირად ეს არის უბედური ადამიანი, მოხვედრილი იმ დარგში, სადაც მას არავითარი შანსი არა აქვს. მას სჭირდება დოგმატიზმი, რომ თავიდან აიცილოს კონკურენცია, რომლის დროსაც ის აუცილებლად წააგებს. ცხადია, დოგმატიკოსებშიც არიან ნიჭიერები, მაგრამ მონაკლისის სახით. აქ უკვე მუდგანდება სექტანტური ფსიქოლოგია, მომატებული ავრესიულობა.

სტალინიური ეპოქა, როგორც წესი, მიმართული იყო მოზრუნვე, საკუთარი აზრის, საკუთარი ღირსების განვითარებული გრძნობის მქონე ადამიანების წინააღმდეგ: და აქეზებდა მას, ვისაც ეს აკლდა. ახალგაზრდობის სტალინიზმი ეს უკვე, ალბათ, იმ ადამიანების სტალინიზმია, რომლებიც სულიერად მზად არ არიან გარდაქმნისათვის. ადამიანები ხომ ყოველთვის გრძნობენ, რომელი წრე შეეფერება მათ, რომელში აყვავდებიან ისინი და რომელში ვერა. არსებობს კიდევ სტალინიზმი, რომელიც შერეულია ნაციონალიზმში. ეს მოვლენაც უნდა შევისწავლოთ.

— ზოგიერთები თვლიან, რომ „სტალინიზმის“ სათავეები თქვენ ადამიანს სრულყოფილების იმედს უკარგავთ, იდეალს უარყოფთ...

— ეტყობა, ეს იმათგან მომდინარეობს, იდეალზე მოწაფური, ხატისმაგვარი წარმოდგენა რომ აუთვისებიათ.

— „მსგავსებაი არა იხილეთ?“

— რალაც! ამის მსგავსი. მე მომხრე ვარ უტყუარი იდეალისა, რომელიც ემყარება ნამდვილ ღირებულებას: სიმართლის, ქეშმარიტების კულტს, სინდისიერებას, პიროვნების სულიერ ავტონომიას, მის ღირსებას, იმის პატივისცემას, რაც ადამიანებმა ჩვენამდე ისწავლეს, სინდისის თავისუფლებას, სოლიდარობას, თანასწორობას, შემწყნარებლობას. ვეწინააღმდეგები „კეთილდღეობისათვის“ მუდმივი მარტილობის იდეალს, რასაც მე-მარტყენე ექსტრემისტები ქადაგებენ. ასევე, თავგანწირვა პირადი არჩევის საქმე უნდა იყოს.

ცხოვრებაში საჭიროა თავგანწირვა, საჭირონი არიან გმირები, რომლებიც თავისკენ მიიზიდავენ დანარჩენებს. მაგრამ საშიშია, როცა ასეთი ყოფაქცევის ტიპი, რომელიც უნიკალურია და თვითონ ირჩევს თავის თავს, შეუჩნდება მთელ საზოგადოებას როგორც იდეალი. ამას უკვე მივყავართ ყაზარმასთან, რეპრესიებთან და სხვა მისთანებთან. ადამიანის გაბედნიერება ძალდატანებით შეუძლებელია. მას უნდა შეუქმნა არჩევის. სიკეთის, მშვენი-

ერების პირობები, უჩვენო მაგალითი, წახალისო სულიერი ღირსება.

— მით უფრო, რომ თავმჯობველი იდეალი შეიძლება ნაღრძობი გამოდგეს. ეს ხომ მთლად უბედურებაა, როგორც პავლე მოროზოვის „იდეალი“ — რამდენი ბავშვის სული და მოზრდილის სიცოცხლე დაღუპა ამ უბედური ბიჭის გაიდეალებამ...

— ასეთ შემთხვევაში ჰუმანიზმის ნაცვლად ვიღებთ ანტიჰუმანიზმს. და შემდეგ, კაცობრიობის გამოცდილება დღეისათვის — ეს ვერ კიდევ არაა მთელი გამოცდილება. იმედი მაქვს, რომ ჩვენ კაცობრიობის მთელი ისტორია არ გავვივლია. იმის პრეტენზია კი გვაქვს, რომ ჩამოვყალიბოთ, ჩვენი აზრით, პიროვნების იდეალური ტიპი და მივუსადაგოთ მას დანარჩენები. მაგრამ იქნებ ცხოვრებამ მართლაც შვას ახალი, ჩვენთვის იდეალური ტიპის ადამიანი? ღირებულებათა მკაცრი სისტემის დროს უბრალოდ ვერ შევამჩნევთ მას.

— ისევ მათ შესახებ, რომლებმაც „სტალინიზმის სათავეები“ გულთან არ მიიტანეს. ამბობენ, ციკო „ბურჟუაზიულ კეთილდღეობას“. „ვეშიშმს“ ექომაგება, რაც ჩვენში ზნეობრივად მახინჯ ადამიანებს ამრავლებს და ბავშვებს ამახინჯბსო...

— თუ თქვენ და თქვენს მეგობრებს, გასურთ, რომ ყოფა-ცხოვრება უარყოფთ — ეს თქვენი უფლებაა. ამასთან, არც თქვენ, არც სხვა ვინმეს უფლება არა გაქვთ, თავს მოახვიოთ სხვებს თქვენი მოსაზრებები. არ შეიძლება ძალდატანებით წართვა ადამიანებს ის, რასაც ისინი მიეჩვივნენ და ცხოვრების, ყოფის მნიშვნელობად აღიქვამენ.

მე მგონია, რომ ჩვენი „ვეშიშმს“ სწორედ ნივთების უქონლობის, ტოტალური დეფიციტის შედეგია. როცა ის ბევრია, როცა არსებობს ნორმალური ყოფა-ცხოვრება, პრაქტიკულად „ვეშიშმსიც“ არ არის. სწორედ ბაზართან, სასაქონლო ურთიერთობებთან ბრძოლამ შექმნა უნიკალური პირობები „ვეშიშმის“ ზრდისათვის: თუ არაფერი არ არის, ყველაფერი უნდა „იშოვო“, ასე რომ, ყოველი ნივთი, ყოველგვარი ძონძი ადამიანისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ჩვენ კი ნაცვლად იმისა, რომ სწრაფად მოვსპობთ ამ მოვლენის ეკონომიკური ბაზა, შედეგებს ვებრძვი: „ნუ გამოვდევნებით ღუბლიონებს, ნუ შეიძინებ ზედმეტ რამეს!“ გესმით, განა ეს ადამიანობაა? ყოველ ნორმალურ ქალოზვილს უნდა, რომ ლამაზი და მოდური ტანსაცმელი ჰქონდეს.

მე „ვეშიშმს“ არ ვამართლებ. პირიქით, ვიბრძვი ისეთი ეკონომიკური სიტუაციისათვის, როდესაც მას არ ექნება საყრდენი. უნდა გვექნეს ნორმალური ეკონომიკა, როცა უბრალოდ შესაძლებელია ყველაფრის ყიდვა და არა „შოვნა“. პატივი უნდა ვცეთ ყოფა-ცხოვრებას, როგორც კულტურის აუცილებელ ელემენტს. ყველას არ შეუძლია და ნურც მოვთხოვთ, რომ ცხოვრება თავისი თავის სრულყოფას მიუძღვნას — ადამიანები სხვადასხვანაირნი არიან ნებისყოფის მიხედვით, ინტელექტუალური განვითარებით. ვინმესთვის შეიძლება „ვეშიშმსიც“ ცხოვრების ბედნიერება იყოს. მაშ, მიეცით მას ეს ბედნიერება, თუ ჰუმანიტი ხართ. აუხსენით, რომ ეს ნამდვილი ბედნიერება არ

არის, რომ სხვა ფასეულობაც არსებობს. მაგრამ თუ ადამიანს უნდა — დაე ეს ბედნიერებაც მიიღოს.

— ბოლოს და ბოლოს, მწყობრში მართით სვლა დიდი ბედნიერება როდია.

— რა თქმა უნდა, ასეა. „ვეშიზმთან“ ჩვენი ბრძოლა კი იმ იდეოლოგიის შედეგია, რომელმაც ეს მარშირება დაგვიწესა. ჯგროდ იდეალისაკენ. ყოველივე ამის უკან ფარისევლობა და ცინიზმი იმალება. რა „ვეშიზმზეა“ ლაპარაკი, როცა ყველაზე ელემენტარული რამ არ გვეოფნის! სხვა საქმეა, თუ ნივთების გამოღვევება დაკავშირებულია სპეკულაციასთან, კანონების დარღვევასთან. ისე ეს ხომ არც არის ცხოვრების ნორმა.

— მაგრამ იქნებ ნორმალური აღქმის ხელშემშლელი აზროვნების ჩამოყალიბებულ სტერეოტიპთა სხვადასხვანაირი წინასწარ შეგონების, დიდების შარავანდელის ჩამოშორების ამ მხილებათში უნდა დავინახოთ დღეს ფილოსოფიის დანიშნულება?

— გეთანხმებით, მაგრამ ამ აზრის გამოთქმა უფრო მარტივად შეიძლება. ფილოსოფოსი დღეს, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულია, დაიკვას ცხოვრება, გაათავისუფლოს ადამიანები იმ ილუზიებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან მათ ბედნიერებას, ყოფიერების სისრულეს, ხელს უშლიან, რომ ღირსეულად შეაფასონ ის სოციალური სიკეთე, რომელიც უხსტად ფეხებთან უძევთ და რომლის დაპატრონებისათვის დახრაც კი საემარისია. რა თქმა უნდა, ის უწინდებურად ვალდებულია, ახსნას ეს სამყარო, ხელი შეუწყოს მის სრულყოფას. მაგრამ მე გგონია, რომ დღეს უფრო მეტი მოფიქრებით და ფრთხილად უნდა მივუდგეთ იმის შექმნას, რაც არასოდეს ყოფილა. სამყარო მსხვერვალია. ახლა, ჩვენს საზოგადოებაში მაინც, ყველაზე მეტად მტრობისა და სიძულვილის ტალღები უნდა გვაშინებდეს. უნდა დავეხმაროთ ადამიანებს, რომ მოიპოვონ სულიერი წონასწორობა და ინტერესების პლურალიზმში დაინახონ ადამიანური ყოფიერების ნორმა.

— ხომ ვერ დაასახელებდით იდეებსა და აზროვნების სტერეოტიპებს, რომლებიც, თქვენი აზრით, ნამდვილად ემუქრებიან ადამიანის ყოფიერების საფუძველს?

— ჩემი აზრით, ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას აქამდე აკავებს ძვალ-რბილში გამჯდარი ჩვეულება, რომ დაუპირისპიროს მორალური სტიმულები — მატერიალურს, სულიერი პროგრესი — ეკონომიკურს. ჯერ არ ყოფილა

კაცობრიობის ისტორიაში ისეთი შემთხვევა, რომ ქვეყნის სიღარიბეს ხელი შეეწყოს მისი მოსახლეობის სულიერი აყვავებისათვის. გავარჯარებული შანთით პირადი ინტერესის ამოწვის მცდელობას ჩვეულებრივ წარმოებისა და ცხოვრების საფუძველების დარღვევისაკენ მივყავართ.

საზოგადოების სულიერ განმრთელობას, ალბათ, ემუქრება თავისი ქვეყნის ისტორიის ფატალისტური აღქმაც, აზროვნება, რომლის თანახმადაც, რაც იყო — ის იყო, ისტორიისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვსო. ვფიქრობ, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ბევრი რუსი ფილოსოფოსი, მაგალითად, გერცენი, ბერდიაევი, ბულგაკოვი, აქტიურად ებრძოდნენ წარმომავლობის გარდაუვალობის იდეას. იქ, სადაც არ არის არჩევანი, ნებისყოფის თავისუფლება, შეუძლებელია ლაპარაკი პასუხისმგებლობაზე, ადვილი არა აქვს მორალს, სიკეთისა და ბოროტების პრობლემას. ფატალიზმს ჯერ არასოდეს უქცევია ადამიანი ბრძენად, არ შეუმატებია მისთვის სულიერი ძალა და თავისი თავისადმი რწმენა. ის ყოველთვის ტენდენციური იყო, რადგანაც ზღურბლიდანვე ყრიდა ყველაფერს, რაც ხელს უშლის ადამიანთა გრძნობებზე მისი ძალაუფლების განმტკიცებას, რაც ამჟღავნებს ადამიანის უნარს — უკეთესობისაკენ შეცვალოს თავისი ბედი.

მე ასევე მალეღვებს ჩვენი „მამხილებელი“ პუბლიცისტიკის მიერ რეანიმირებული, წინანდელი, ორთოდოქსალური მარქსიზმიდან მომდინარე ქედმაღლური დამოკიდებულება სოფლისადმი, გლეხისადმი. ისტორიამ ვერაფერი გვასწავლა. ჩვენ ხომ ასე ძვირი დაგვიჯდა უწინდელი ნაჩქარევი დამოკიდებულება აგრარულ სექტორში სოციალისტური გარდაქმნისათვის, რაც დაკავშირებული იყო გლეხის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალისადმი რწმენის უქონლობასთან. თუმცადა ნორმალური ადამიანი ყოველთვის გრძნობდა, რომ გლეხთან ჩვენს „კლასიკურ“ დამოკიდებულებაში მუდამ იყო რაღაც არაჯანსაღი, რაც არ ეთანხმებოდა სინდისს, საღ აზრსაც კი. რატომ არის. რომ გლეხს მუდამ და ყველას ვალი აქვს, მისი კი — არავის და არასოდეს?

აქამდე ჩამესმის ყურებში ყვირილი ახალგაზრდა უკრაინელი კოლმეურნე ქალისა, რომელიც კურო-ბრიგადირის ჰქუის სწავლებაზე ხმამაღლა მოთქვამდა აგვისტოს სიცხით გადახრუჯულ მინდორში:

„ტა ხიბა ია ქინკა!“ მან კაბის კოლონი ვიწია, გამხდარი, დაკუნთული ფეხები გაიშვილა და განაკრძო: „ტა ხიბა უ ქინკი პოკინი ბიტ ტაკი ნოვი? ქალი კი არა, მოწია ვარ!“ აი რატომ გამოვეხმაურე ასე მტკიცებულად ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტიკის იმ მცდელობას, რომ სტალინის უსაქციელობისათვის პასუხისმგებლობა მისი ცრუმემარცხნული მოუთმენლობის ძირითად მსხვერპლსაც აპკიდონ.

— უკანასკნელი კითხვაც. ის დაკავშირებულია არა მარტო „სტალინიზმის სათავეებთან“, არამედ მთელ ლიტერატურასთან სტალინისა და მისი დროის შესახებ. რა თქმა უნდა, გსმენიათ აზრი — „კმარა ამის შესახებ, დროა, დავსვათ წერტილი?“

— მსმენია. და აბსოლუტურად არ ვეთანხმები. მე, მაგალითად, ვერ გამოვიგია ლოგიკა მწერალ სერგეი ვიკულოვისა, რომელიც მისი რედაქტორობით გამოძავალი ყურნალის — „ნაშ სოვრემენიკის“ ფურცლებზე გარდაქმნამდე დიდი ხნით ადრე მოგვითხრობდა განკულაკების, სტალინური ძალდატანებითი კოლექტივიზაციის საშინელებაზე, იმაზე, თუ, მისი სიტყვების მიხედვით, „ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში როგორ ატყავებდნენ მშრომელ კაცს, უწამლავდნენ მას გლეხურ სულს“, ახლა კი გაუგებარი მიზეზით დაფრთხა, დაქვედა სრული სიმართლის აუცილებლობაში. „აიტანს კი გული ამას, ხომ არ გასკდება გადატვირთვის გამო? ხომ არ მიიბრუნებს ხალხი პირს, განსაკუთრებით ჩვენი იდეალებისაგან, ჩვენი სალოცავებისაგან? — კითხულობდა ის თავის ერთ-ერთ უკანასკნელ გამოსვლაში.

ვიმეორებ. საფუძველი არა მაქვს, ეჭვი შევიტანო იმის გულწრფელობაში, რასაც ამბობს სერგეი ვიკულოვი სტალინიზმის ბოროტებაზე. მაგრამ ვერ გამოვიგია, მას, რუს მწერალს, რატომ ბოლომდე არა სჯერა, რომ მის ხალხს აქვს უნარი — იცხოვროს ტყუილის გარეშე, მითების გარეშე, რა ფასი აქვს იდეალებს, რომლებზეც ის ზრუნავს, თუ მათი შენარჩუნებისათვის კვლავ ნახევარსიმართლეს მივმართავთ? ვანა საშიში არ არის, რომ ჩვენი ხალხის ბედი, ახალგაზრდობის რწმენა ნახევარსიმართლეს დავუკავშიროთ?

ხალხს დიდი სულიერი ძალა აქვს. ამიტომ მას სჭირდება სიმართლე. მთელი სიმართლე.

თარგმან ოთარ ზარიშვილმა.

19038

გასეირნება



ფოტო ილარიონ ბავეისა.

საქ. სსრ კ. მარქს სახ. სახ. რესპუბ. ზიგლიოთმაძე

# უკანასკნელი ეოჯიკანი არ იქნება

**● თურმანიძეები!** ამ განთქმული გვარის გაგონებისას ყოველ ქართველს გული სიამაყით, მაღლიერებითა და იმედით აევსება ხოლმე, ვინაიდან ჩვენს ხალხში საუკუნეთა სიღრმეებიდან მომდინარეობს საფუძვლიანი რწმენა, რომ თურმანიძის მალამო უებარია დამწვრობის, კრილობისა თუ მოტეხილობის სამკურნალოდ. ათასნაირ სიდუხჭირესა და ისტორიულ ქართველებს გამოვლილი ქართული გენის გადარჩენაში ხმლის, კალმის, გუთნის გვერდით, როგორც სხვა სახალხო მკურნალებს, ისე თურმანიძეთა მარჯვენასა და მალამოსაც უდევს თავისი საპატიო წილი. განსაკუთრებული წესით დამზადებულ თურმანიძის მალამოს საუკუნეთა მანძილზე ხმარობდა ერი და ბერი, მდიდარი, ლატაკი. მკურნალი თურმანიძეები ქართველ მეფეებსა და მათ ლაშქარს, როგორც წესი, მუდამ თან ახლდნენ. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს დაპროლი პოეტი ალექსანდრე ჰავკავაძე ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოყვანილ თურმანიძეს მოუტრჩენია. თურმანიძეებს მართო თავიანთ სამშობლოში როდი იცნობდნენ — მათი სასწაულებრივი მალამოს სახელი და დიდება უცხოეთშიაც ყოფილა გავარდნილი. 1876 წლის 20 აგვისტოს გაზეთი „დროება“ წერდა: „სერბიაში დაჭრილების სამკურნალოდ თურმანიძეების გაგზავნა განზრახული“. ასევე არსებობს სანდო ცნობები, რომ იტალიის სახალხო გმირი ჯუზეპე გარიბალდი ფეხის მოკვეთას გადაარჩინა და განკურნა საქართველოდან იტალიაში საგანგებოდ მიწვეულმა ერთ-ერთმა თურმანიძემ.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თურმანიძეები რუსეთის არმიაშიც მსახურობდნენ ქირურგებად. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდით, თურმანიძეებს თავდაპირველად სამხრეთ საქართველოში უცხოვრიათ, შემდეგ დასახლებულან დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში.

დღემდე არსებულ ქართულ წყაროებში სამოღვაწეო სარბიელზე გამოსული თურმანიძეები სულ პირველად XI საუკუნეში ჩანან. 1914 წელს ნიკო მარის მიერ გამოცემული „აღბანი ქუარის მონასტრისანი იერუსალიმისა შინა“ კითხულობთ: „პანაშვიდი თურმანიძისა ნინოს და მეუღლესა ჯავარასა“. თუმცა არ არის გამორიცხული გამოჩნდეს ისეთი საბუთი, რომელიც უფრო ადრეული ხნით დაათარილებს

თურმანიძეთა გამოჩენას. „ვიორგი თურმანიძე მეუღლე გულფიქრა და ძე მათი თურმანიძე“ — ასეთი შინაარსის ასომთავრული წარწერა შემოგვრჩა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ წითელი ხევის დევნილებისა და დემეტრაძეების ეკლესიაში, რომელიც ადრე თურმანიძეთა საგვარეულო ეკლესია ყოფილა.

ასევე საინტერესოა ქართლში თურმანიძეების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენა. თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში „ბარათაშვილების გაყრის“ სიგელ-გუჯარში ნახსენებია როსტევეან თურმანიძე. ეს საბუთი ჟორდანიას მიერ დათარიღებულია 1523 წლით. სავარაუდოა, რომ თურმანიძეები ქართლში უფრო ადრე იყვნენ გამოსული სამოღვაწეოდ, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთები ჯერჯერობით არ ჩანს, თუმცა სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში გვხვდება ვახტანგ თურმანიძე, ხოსრო თურმანიძე, ესენბულა თურმანიძე, ჯავარისთავი თურმანიძე, ხოლო XVII საუკუნეში ხოსრო თურმანიძე „შაჰმანეს“ მთარგმნელად იხსენიება.

დღეს, როცა მედიცინა ფანტასტიკურ წარმატებებს აღწევს, თურმანიძის მალამოს ფუძე, რტყობა, იმდენად ძლიერია, რომ იგი მაინც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. ამჟამად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბევრი თურმანიძე ცხოვრობს, მაგრამ მკურნალნი თითებზე ჩამოსათვლელნილა დარჩნენ და ისინიც ძირითადად თბილისში მოღვაწეობენ. ერთ-ერთი მათგანია ცნობილი ქართველი ექიმის ვახტანგ თურმანიძის (1913-1978 წწ.) ოჯახი. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ დამკვიდრებულ ტრადიციულ მკურნალობას აგრძელებენ მეუღლე და ქალიშვილები.

უფროსი ქალიშვილი ნანა ექიმა, 1970 წელს დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ამჟამად დერმატოლოგია.

— წინათ ჩვენი წინაპრნი მალამოს დამზადების საიდუმლოებას გვარში მხოლოდ ვა-



ეებს ასწავლიდნენ. — ამბობს ნანა. — რათა საიდუმლოება სხვა გვარზე არ გადასულიყო. ამით მყარად ინახებოდა ოჯახური ტრადიციები. შემდეგ კი ჩვენი ქალიშვილებსაც გვასწავლეს. მალამოები სხვადასხვაა და, ცხადია, ერთი სახის ყველა დაავადებებს ვერ მოარჩენს. ჩვენს მალამოებს ძირითადად ხმარობენ კრილობების, ნაწოლეთის, დამწვრობის, ფურუუნკულის, კარბუნკულის სამკურნალოდ, აგრეთვე კანის ზოგიერთი დაავადების დროსაც. კანის დერმატიტები, მწვავე ეგზემა, ალერგიული ვამონაყარები. მალამოებს ვხმარობთ აგრეთვე მასტიტებისა და დაჩირქებული ნაწიწების მკურნალობის დროსაც.

ჩვენი ძირითადი მიზანია, პაციენტები გადავარჩინოთ ოპერაციას, რასაც უმეტეს შემთხვევაში ვაღწევთ კიდეც.

პაციენტების უმრავლესობა მაღლიერია თურმანიძის მალამოებისა, ვინაიდან ისინი სწრაფად აყუჩებენ ყოველგვარ ტკივილს, ავადყოფებს არ უღიზიანებენ სხეულს, ახასიათებს სწრაფი მოქმედება. ცნობილია, რომ საერთოდ ადამიანები ტკივილს ერიდებიან. ამ მხრივ თურმანიძის მალამოები უებარია — უცებ აყუჩებს ტკივილს. თანაც მალამოში არ შედის არანაირი ქიმიური ნივთიერებანი: მისი ყველა კომპონენტი ძვირფასი საკვები პროდუქტია და მზადებული ძვირფას მცენარეულ ზეთებზე.

საქართველოში ალბათ ძნელად მოიძებნება ოჯახი, რომელსაც თურმანიძის მალამო არ დასჭირვებია. ქალბატონ ნანას ოჯახში ინახება ფოტოები დამწვარი და შემდეგ მორჩენილი ავადყოფებისა. დაცულია აგრეთვე შთაბეჭდილებათა რვეული, სადაც უამრავი მაღლობის სიტყვებია ნათქვამი. აი, ერთი მათგანი:

...დამეწვა ზედა კიდურები. მიმიყვანეს თბილისში. დამიდგინეს მეორე ხარისხის სიდამწვრე. ერთი კვირის შემდეგ მდგომარეობა უფრო გამირთულდა. იძულებული გავხდი მეზობლების რჩევით მივსულიყავი თბილისში, გოთუას 20-ში მცხოვრებ მკურნალ თურმანიძეებთან. იმჟამად მქონდა მალალი სიცხეები და ძლიერი ტკივილები. ქალბატონმა ნანამ თავისი მალამოთი 14 დღეში გამკურნა. დღეს დამწვრობის კვალიც კი აღარ მეტყობა. დიდ მაღლობას ვუხდი ქალბატონ ნანას, თურმანიძეთა მთელ ოჯახს. თამაზ ტალახაძე, ქ. რუსთავი.

კითხულობთ მსგავს ჩანაწერებს, ათვალთვრებთ მკურნალობის შედეგების საილუსტრაციო საოჯახო ალბომს და უნებლიეთ რწმენით იცხებით: სანამ ჩვენს პლანეტაზე იარსებებს ქართველი ხალხი, მანამ მკურნალ-თურმანიძეთა გვარში არასოდეს იქნება უკანასკნელი მოპიკანი.

**ჯამალ მხაროშვილი**

# კუპონები

ნოდარ შამანაძე

აჩქარებული მივბიძგებ, გული ხელით მიჭირავს. ერთი სული მაქვს შინ მისვლაჲდე.  
 — როგორ ბრმასავით მილაყუნობს, მხარი წამავლიჯა!  
 — მთვრალია!  
 — არყის სუნად ყარს!  
 — ბოდიში, უკაცრავად, — გავიძახი და უკან არც ვიხედები. რა მთვრალი, რისი მთვრალი, დღეს არც წამიხმსებია..

ხალხის მდინარეში გზას მივიკვლევ. დროდადრო ხელი გულის ჭიბისკენ მიმირბის. სადაც ეს-ეს არის ჩიტის ფრთისხელა ბარათი ჩავიდევ. ბარათს ვაშობ, თორემ რა ბარათია. ნაჩქარევად წაჩხანნილი ორიოდე სიტყვა! ძმა მწერს სოფლიდან, ერთადერთი ძმა, შამაპაპურ კერაზე ცეცხლის შემნახველი. მისი, წერილი უოველთვის სიაშით მავსებდა. ეს ბარათი კი... თუმცა ეს არ არის ბარათი. ეს არის უდაბნოში წვიმის შხაპუნი. ეს არის არიადნეს ძაფის გორგალი, ჩამოწოლილი ზვავის დნობა და ლანქერად ქცევა...

— მაშის გამართლება მოვიდა. ოდესღაც გაუქმებული მისი შრომადღეები აგვიანაზღაურეს. საძირკველჩაყრილი ოდის მასალა დაგვიბრუნეს...

მეტი არაფერი, აი მთელი ბარათი. მოკითხვაც დავიწყნია. ფოსტაში არ დამეკარგოსო და, ამდგარა, კაცი მოუნახავს და ეს ბარათი გამოუტანებია. ჰოდა, ის ოჯახაშენებული კიდევ მომადგა სამსახურში. როგორ დავიბენი, არცვი შევეპატიე. დავკარი ფეხი და შინ გამოვეშურე. სახლში უნდა წამომეყვანა.

მივდევარ, მივიჩქარი, თითქოს მუხლებში ქარი ჩამდგომოდეს. მერედა, ვინ მელოდება შინ, რატომ მივისწრაფი?! სულ ერთი თვეა ბინა მომცეს. ახალგაზრდა არქიტექტორმა ჯერ მხოლოდ ორ შენობას და-

ვადგი თავი. ჩემს მიერ აშენებულ სახლში შემასახლეს, მე-სამე სართულზე, ერთოთახიანი ბინაში. მეტი არც მინდა, მართხებლა ვარ.

შინ მისვლა მუდამ მეზარებოდა, დადამებას ველოდი ღამურასავით, გვიან შევადებდი ხოლმე კარს. ახლა კი ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ობლობაში ჩავლიდი წლების მიღმიდან წამოდგა მამა, მონახა ჩემი ახალი ფუძე და მოუთმენლად მელოდება.

აგერ ჩემი სახლიც. პირველი სართული, მეორე, მესამე. ვადებ კარს. გაჯისა და თაბაშირის სუნის აჩქარებულ სუნთქვას მიმიძიებს. ახალ შეფუთილ კედელზე ერთადერთი სურათი ჰქიდა. გრუზათმიანი, სახეგაბადრული ჭაბუკი იდაყვდაყრდნობილი ზის და სადღაც შორს ჩაფიქრებული იყურება. მის გვერდით ალვასავით ტანავარდნილი ქალიშვილი დგას. მაჯის სიმსხო ნაწნავები წინ კობტად გადმოუყრია. მარცხენა ხელი ისე „მოხერხებულად“ უჭირავს, საათი მთლიანად უჩანს...

ეს სურათი ფოტოგრაფს ხუთიოდე წლის წინათ შევაკოწიწებინე. უარობდა. ძლივს დავიყოლიე.

ყოველთვის, როცა ამ სურათს ვუმზერდი, გულის ძარღვები ჩამწყდებოდა ხოლმე. ჭაბუკიცა და ქალიშვილიც საოცრად ნაღვლიანი მეჩვენებოდნენ. ახლა კი ვუყურებ, ვუყურებ ცრემლიანი თვალებით და ვეღარ მიცვნია. ძვირფასი სახეები თითქოს ჯერ ოდნავ მიღმიან, მერე ღიმილი დიდდება და თანდათან სიცილად იქცევა.

— ჩემო პატოსანო, მართლო მამა, ჩემო გაუბარელო მშობელო, მამ, ტყუილბრალოდ დაუსჯიხართ, ასეა არა?

ატირებული გადავემხე ლოგინზე.

ფანჯარას... ისე გამომწვევად ეჩურჩულება, უყურადღებოდ მის გვერდით ჩავლა შეუძლებელია.

ეს ფანჯარა გამოჭრილია ერთ პატარა ოთახში. ჩვეულებრივ რკინის საწოლზე წევს გოგონა. ლურჯი თვალები ფართოდ გაუღია და შემკურებს თეთრად შეღებულ ჭერს. რას ფიქრობს, მიხვედრა ძნელია, მაგრამ გონება კი გართულია მოგონებებით.

თვალწინ იკვეთება ქალის სახე, ხან ცეცხლივით ელავს, ხან კი წყალდასხმულ კოცონივით ბუტავს. არ შორდება თვალებს სახე, რომელიც ერთხელ ენახა, გონებაში კი მაინც ჩარჩენილია.

როდესაც კუპრ ღამეში ჩაფლული სახლი ძილს მიეცემა, ამ ოთახიდან გაისმის მტირალი, მისუსტებული ბავშვის ხმა. დედა, დედაო, კვნესის გოგონა და ძნელი მისახვედრი არაა, ვის დაეძებს იგი.

ხდებოდა ასეც: ძილგატეხილი ბავშვი გახსნიდა თავისი ოთახის სარკმელს და შესცქეროდა ციდან მოციმციმე ვარსკვლავებს. მათი სილამაზე თვალს სჭრიდა პატარას, მაგრამ მისი გონება მაინც სხვას ყიფინებდა: დედა უფრო ღამაზია... ჰო, უფრო ღამაზია დედა...

ამ დროს არა მარტო ვარსკვლავები, ცაც, მზეც, მთვარეც, წვიმაც, ფიფქებიც ეფიცებოდნენ გოგონას ერთგულებას. მაგრამ მას არავისი მოსმენა არ სურდა, როცა თვალწინ ისე ახალგაზრდა, ბროლისკბილება, ლურჯთვალა ქალი ედგა.

ჩნდებოდა ღამაში, სანადომიანი ქალი გოგონს მოდგენაში. წუთიერად ბოდა, მაგრამ ისევ მსოფლიო ბოდა, რადგან ეს არ იყო სინამდვილე.

ოთახში თეთრად შემოსილი ქალი შემოვიდა.

დღეს კვირა დღეა და მთელი ბავშვთა სახლი ეშვადება მშობლებთან შესახვედრად. მაგრამ ელის კი იგი ვინმეს? ვინ იცის, რამდენი გაზაფხული გავიდა მას შემდეგ, რაც მასთან არავინ მოსულა, ნუთუ დღეს მოხდება სასწაული და მოვა იგი — დედა, ტკბილი, მშობლიური არსება, ერთადერთი...

თეთრ ტანისამოსში გამოწყობილ ქალს ღიმილი პირზე არ წაშლია და გოგონას ხელით ანიშნა, რომ დაბლა ჩამყოლოდა. კიბეებზე ჩამავალი ორი ადამიანიდან ერთი იტანჯებოდა, ფიქრობდა. კიბეები კი არ მთავრდებოდა და არ მთავრდებოდა. გულს უღრღნიდა კითხვა: „მართლა მოვიდა, ჩემთან მოვიდა?“

ჩაილია უსაშველო კიბეც და შეუერთდა გრძელსა და პრიალადერეფნის იატაკს.

გოგონას მალღა ახედვის ეშინოდა, თითქოს მისი წამამებიც დამძიმებულიყვნენ.

გოგონამ მაინც აიხედა მალღა. მის წინ მკლავებგაშლილი ის ლურჯთვალა ქალი იდგა, რომელიც წინა ღამეს სიზმარში ნახა. სიტბოს მოწყურებულმა დიდხანს უყურა თვალებში ქალს. შეცრად მოტრიალდა და აუყვა ისევ იმ კიბეს, რომელიც აქამდე ასე გრძელი და მოუღვეველი ეჩვენებოდა...



ფოტო გოჩა ბაღდასაროვისა.

# კიბე

ლელა ბოჯგუა.

ისეთი სურნელებით იყო გაუღნთილი ჰაერი, მდელოს ათქვირებისას რომ ახდის ხოლმე. ვინ დაიჭერებდა, რომ იმ დიდსა და უკაცრიელ თეთრ სახლსაც ასე დაეტყობოდა გაზაფხულის მოსვლა.

ფიფქივით თეთრია. გარშემო მწვანე ბუჩქების გაღავანი არტყია. სწორედ რომ საშობოხეში მდგარ ციხეს მოგაგონებს. იქვე თეთრი ყვავილებით გადაპნტილ ნუშს ტანი აუყრია. მისი ერთი დიდი ტოტი ელამუნება შენობის

# ვეფხისტყაოსანი



## ნაწყვეტები ავთანდილის ანდერკიდან

წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?  
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.  
„სიყვარული აღგვამალღებს“, ვით ეუფანნი, ამას უღერენ.  
შენ არ ჭერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჭერენ!

შეძლება საბავს ცანიშვილი

ვინ დამბადა, შეძლება მანვე მომცა ძლევად მტერთად?  
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოველთა მიწიერთად,  
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის — უკვდავი ღმერთი — ღმერთად —  
იგი გაჰხდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად...

არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიჴამს ჴიანსა,  
ვჴგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ლალათიანსა!  
ვერ ვეცრუები, ვერ უჴამ მას ხელმწიფესა მჴიანსა.  
რა უარეა მამაცსა სულდიდსა, წახვლაგვიანსა!

რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,  
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!  
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?  
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გჴა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;  
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალგულოვანი;  
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი.  
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!..

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,  
ღარიბი მოკვდევ ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,  
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდომელმან, —  
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე — მღმობელმან.

## ნაწყვეტი ავთანდილის ლოცვიდან

ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,  
ჴოგჯერ მომცემო პატიუთა, ჴოგჯერ კეთილთა მჴათაო.  
უცნაურო და უთქმელო. უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო!

ღმერთო, ღმერთო, გეაჭები, რომელი ჰფლობ ქვენათ ჴესა,  
შენ დაბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,  
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მჴესა,  
ნუ ამოჴხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესა!

ღმერთო, ღმერთო მოწყალებო, არვინ მივის შენგან კიდე,  
შენგან ვითხოვ შეწევნასა, რაჴომსაცა გჴასა ვვლიდე;  
მტერთა ძლევა, ჴღვათა დელვა, ღამით მავნე გამარადე!  
თულა დავრჩე, გამსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე“.

## ღირიკული შესავალი თავიდან:

### „ნასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“.

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ჴნე გჭირსა!  
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

**შანიშვა — კომენტარი:** „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის „ოქროს ხანის“ პირმშოა. იგი დაინერა XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე და ფაქტიურად დაამთავრა ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ქართველი ხალხის სულიერი განვითარების გზაზე. ეს არის, მართლაც, დიადი ნიგნი, უტყუარი მონმე იმისა, თუ რა უსაზღვრო შესაძლებლობებს შეიცავს თავის თავში ქართველი კაცის შემოქმედებითი გენია. სიბრძნე და გონიერება, სილამაზისა და მშვენიერების თაყვანისცემის კულტი, სწრაფვა პიროვნული თავისუფლებისაკენ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს მსოფლიოს პირველნოდებულ გენიოსთა რიგში აყენებს. „ვეფხისტყაოსნის“ უმაღლეს ადამიანურ ღირებულებათა აპოლოგია და მისი უკვდავების საფუძველიც სწორედ ეს არის.

ქართულმა პოეტურმა კულტურამ „ვეფხისტყაოსანში“ ჴპოვა თავისი უპირველესი გამოხატულება. ამ თვალსაზრისით იგი დღესაც დაუძლეველი სიმაღლეა. „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი ცალკეული ფრაზა თუ სტრიქონი ქართული ენის წილში არსებულ საგანძურთა პოეზიის ენაზე გარდასახვის მიუწვდომელი ნიმუშია, ჴეიმია ქართული პოეტური სიტყვისა.

ტექსტის შერჩევის დროს უფრო ღირიკულ პასაჴებსა, და ცალკეულ მედიტაციური სულით აღბეჭდილ სტროფებზე ავიღეთ ორიენტაცია. აქ მოტანილი ნაწყვეტებიც, ჩვენი აზრით, კარგად ავლენს იმასაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არა მარტო ეპიკოსი, არამედ სწორუპოვარია ღირიკული ფორმით გამოხატული აღსარების დროსაც, სულ ერთია, ეს აღსარება პირდაპირ თუ პერსონაჴთა მეტყველების გზითაა გამჴლავებული.

დასასრულ, შევნიშნავთ, რომ აქ მოტანილ ნაწყვეტებს წინ უძღვის მითითება, თუ პოემის რომელი ეპიზოდიდანაა ისინი შერჩეული.





# საქრებულო

## პროცენსი

იმ დღეს ბევრი პარიზელი ჩერდებოდა იუსტიციის სასახლესთან, რომ თვალი შეეცვლო შესასვლელთან მიჯრილი კარტებისათვის. მდიდრულად ჩაცმული ქალბატონები და ბატონები სწრაფად უჩინარდებოდნენ სხდომის დარბაზის მძიმე კარის უკან. ისინი მოიზიდა აქ ვიღაც მუსიო ბუასეს სარჩელმა, რომელიც მოითხოვდა, დაებრუნებინათ მისთვის ექვსი წლის წინათ გარდაცვლილი და სენ უერმენ-დე პრეს საბატონო დასაფლავებული მეუღლე — კლემენს დე ლა ფაილი. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ბრალდებული ქალი, რომელიც სხდომის დარბაზში იმყოფებოდა, იყო სწორედ კლემენს დე ლა ფაილი, თუმცა მოპასუხე დაბეჭითებით ირწმუნებოდა, რომ იგი მაიორ უორუ დე გარანის კანონიერი ცოლიაო.

პროცენსის წინა ისტორია მეტად უჩვეულო გახლდათ. ამ ამბამდე ათი წლით ადრე, როდესაც კლემენსს თექვსმეტი წელი შეუსრულდა, დაქვრივებულმა მამამ, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ეკავა, ქალიშვილი პაპასთან და ბეზისთან გაგზავნა ქალაქ ტულუზაში. იქ მისი ქალიშვილი შეხვდა ახალგაზრდა ოფიცერს უორუ დე გარანს. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ და მალე ნიშნობაც დათქვეს. მაგრამ უცებ უორუმა პოლკში გამოცხადების ბრძანება მიიღო და გემით ინდოეთში უნდა გამგზავრებულიყო. ახალგაზრდა ოფიცერი თავის სასიამოვნოს — დე ლა ფაილს ეხვეწებოდა, გამგზავრებამდე ქორწინების ნება დაერთო. მაგრამ მას ამის მოსმენაც არ უნდოდა, წინააღმდეგი იყო, ქალიშვილს თავისი ბედი დაეკავშირებინა კოლონიური ჯარების ოფიცრისათვის, რომლის ბედი ცვალებადია და ხელფასიც მცირე. განშორების წინ შეყვარებულებმა ერთმანეთს მარადიული ერთგულება შემფიცეს.

ორი წლის განმავლობაში უორუ-საგან არაფერი ისმოდა. მერე კი ოფიციალური ცნობა მოვიდა იმის შესახებ, რომ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ლეგიონი თითქმის მთლიანად განადგურდა და კაპიტანი დე გარანო დაიღუპა. მწუხარებით დაფერფლილმა კლემენსმა გადაწყვიტა, თავისი სიცოცხლე სატრფოს ხსოვნისათვის მიეძღვნა. მაგრამ მამამისმა განუწყვეტელი თხოვნითა და მუქარით თავისი გაიტანა: ქალიშვილი ერთ წელიწადში ხანშიშესული აზნაურის — მუსიე დე ბუასოს მეუღლე გახდა, ხოლო მეორე წლისთავზე კლემენსს გოგო გაუჩნდა.

თუმცა უკვე დედა იყო, მაგრამ ახალგაზრდა ქალი მაინც მწუხარე და ფიქრიანი დარჩა. ავად გახდა და მალე ექიმმა მისი სიკვდილი დაადასტურა. მეორე დღეს დაასაფლავეს.

სწორედ იმ დღეს დაბრუნდა ინდოეთიდან უორუ დე გარანი, რომელსაც ყველა დაღუპულად თვლიდა.

გაიგო თუ არა თავისი ყოფილი საცოლის გარდაცვალება, გულმოკლული გაემართა სასაფლაოსაკენ, სადაც უდიდესი თანხის გაღებით ყარაული დაიყოლია გაეხსნა აკლდამა, რომ ერთხელ კიდევ შეეხედა თავისი სატრფოსათვის.

ხოლო შემდეგ რაც მოხდა, „მძინარე მზეთუნახავის“ ზღაპრის უფრო ჰგავს. როდესაც შეყვარებული მოეხვია, ცრუ მიცვალებული მაშინვე გაცოცხლდა. ზუსტად კი ერთი რამ არის დადგენილი: ორი დღის მერე დე გარანი ინდოეთში მამისგან ბოძალის გემბანზე ავიდა. სხვების შესახებ მარტო მიემგზავრებოდა.

გავიდა ხუთი წელი. მუსიე დე ბუასო კლემენსის გარდაცვალების წლისთავზე, ისე როგორც წინა წლებში, სასაფლაოზე მივიდა, რომ მეუღლის საფლავი ყუავილებით შეემკო. მან ცოლის აკლდამასთან შენიშნა რიდეჩამოფარებული ახალგაზრდა ქალი, რომელიც მარმარილოს ფილაზე დახრილიყო. ქალს მოესმა თუ არა ფეხის ხმა, სწრაფად აიშართა და დე ბუასოს მოეჩვენა, რომ რიდეს მიღმა საკუთარი ცოლი იყო. იგი გაწვდილი ხელებით გაეშურა ქალისაკენ, მაგრამ მანდილოსანი შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა გასასვლელს, სადაც ეტლი ელოდებოდა.

ამ შეხვედრამ ბუასოს მოხენება დაუკარგა. იმაში დასარწმუნებლად, რომ მოჩვენებას არ შეხვდა და მალეუცინაცია არ სჭირს, ბუასომ მოითხოვა, კუბო აეხადათ. იქ ცხედარი არ აღმოჩნდა.

გამოძიება დევალა სისხლის სამართლის სამძებრო პოლიციას. მისმა აგენტებმა დაადგინეს, რომ სასაფლაოს ეწვია მაიორ უორუ დე გარანის მეუღლე. დიდი ხანი არ არის, რაც ცოლ-ქმარი გარანები ინდოეთიდან დაბრუნდნენ საფრანგეთში. პოლიციელებმა გაიგეს, რომ სასაფლაოს ყოფილმა ყარაულმა სიკვდილამდე ხუთი წლით ადრე მიატოვა

თავისი საქმე, რადგან თურმე, რაღაც მემკვიდრეობა მიიღო. ცნობებს ისიც დაემატა, რომ ოდესღაც კაპიტანი დე გარანი საკუთარი სახსრებით გაემგზავრა საეკპრო და არა სამხედრო გემით. თან ახლდა თხელპირბადიანი ავადმყოფი ქალი.

მიუხედავად ამდენი სამხილისა, უორუ დე გარანი ჩიუტად იცავდა თავს:

„მე სამხედრო ტრანსპორტს არ დაველოდე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემი ყოფილი საცოლის სიკვდილის შემდეგ, რაც შეიძლება მალე გავცლოდი ამ მწუხარე ნაპირს. გემზე მყოფი ავადმყოფი ქალი კი ინგლისელი მანდილოსანი გახლდათ, რომელიც ოკენის გაღმა თავისი შვილების სანახავად მიდიოდა. ის როგორ ავიხსნათ, რომ კუბო ცარიელი აღმოჩნდა? ამაზე ვერაფერს ვიპასუხებთ. შეიძლება მესაფლავე მიცვალებული სამკაულს დახარბდა და ცხედარი რომელიმე წინასწარ გამგზავნულ საფლავში დაქარბა. ჩემი ცოლი ინდოეთში დაბადებული ინგლისელი მამისა და ესპანელი დედის ქალიშვილია. ჩვენ ჯვარი დავიწერეთ პონდიშერის შტატის გუბერნატორის ეკლესიაში. აი, ჩვენი საბუთები“.

დე გარანის ჩვენება ნაკლებ დაშაქრებულად არ უდრდა, ვიდრე მისი საწინააღმდეგო სამხილი. და მაინც დე ბუასო დაჟინებით მოითხოვდა პროცენსის გაგრძელებას.

მადამ დე გარანიც უმტკიცებდა სასამართლოს, რომ ის კლემენს დე ლა ფაილი არ არის. მაგრამ კლემენსის მამა, რომელიც სასამართლოზე მოწმედ გამოდიოდა, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მის წინ საკუთარი ქალიშვილი იღა და სთხოვდა ახალგაზრდა ქალს; დაბრუნებოდა კანონიერ ქმარსა და საკუთარ შვილს. ყოველივე ამაზე მადამ დე გარანი პასუხობდა: „მამაჩემი დიდი ხანია გარდაიცვალა, ხოლო არ მქონია პატივი ბატონი დე ბუასო მცნობოდა“. დამსწრე საზოგადოებისა და

სასამართლოს წევრთა სიმპათიები

მადამ დე გარანის მხარეზე იმყოფებოდნენ. მაგრამ სხდომის ბოლომდე მომდევნო ულოდნელი რამ: მუსიე დე ბუასომ დარბაზში შემოიყვანა თავისი შვილი წლის ქალიშვილი. ფართო შესასვლელში, გოგონას ასი თვალი მიაცილებდა. იგი მოსამართლეთა წინაშე მდგომ ქალს მიუახლოვდა და საბრალო ხმით წარმოსთქვა: „დედიკო, ნუთუ არ გსურს რომ მაკოცო?“.

ბრალდებულმა თავისი საქციელით გასცა თავი. მთელი ტანი აუცახცახდა, ტირილით ეცა ბავშვს და გაშმაგებით დაუწყო კოცნა. რამდენიმე წამში კვლავ დაეუფლა თავს მადამ დე გარანი. ბავშვს უბიძგა, ხალხისაკენ შებრუნდა და წამოიძახა: „სიბრცხვილი არ არის, რომ ქალს ასეთი მეთოდით პროვოკაციას უწყობენ? განა რომელიმე დედა გამოიჩინეს უგრძობლობას უცხო ბავშვისადმი, თუ იგი ტირის?“.

განაჩენი გამოტანილ იქნა: „სასამართლომ სცნო მადამ დე გარანი, ქალიშვილობაში მადამუხელ კლემენს დე ლა ფაილი ბატონ დე ბუასოს მეუღლედ და დაადგინა, დაუბრუნოს იგი კანონიერ ქმარსა და თავის პირშვილს, დააწესოს დე გარანის ოქახზე შინა პატივობა გაქცევის თავიდან ასაცილებლად“.

კლემენსმა თხოვნა შეიტანა შევის სახელზე, მონასტერში გამწესების შესახებ. მაგრამ უარი უთხრეს. მუსიე დე ბუასო უკვე ზეიმობდა გამარჯვებას და აცხადებდა, რომ პატივობს თავის „გზააბნეულ კრავს“. ამ უმწყო მდგომარეობაში მადამ დე გარანმა ისე დაიჭირა თავი, თითქმის ბედს შეურიგდა და ქმართან დაბრუნების დღეც კი დათქვა.

აი, როგორ აღწერდნენ მანდილონი გაზეთის რეპორტიორები ამ ტრაგედიის უკანასკნელ აქტს: „იმ საღამოს წარჩინებული საზოგადოებით სავსე დე ბუასოს გაჩირადებული სახლის წინ კარტა გაჩერდა. იქიდან გადმოვიდა საქორწინო თეთრ კაბაში გამოწყობილი კლემენს დე ლა ფაილი. იგი უმშვენიერესი იყო, მაგრამ ძალზე ფერკმრთალი, გამჭვივრადე თვალები ანთებოდა. და ბაგეზე ღიმი ალბეკლოდა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ნოხზე, რომელიც ვესტიბიულში ეფინა. მის შესახვედრად მკლავებგაშლილი მოიჩქაროდა მუსიე დე ბუასო. ქალმა ცივად შეხედა და წყნარად წარმოსთქვა: „მუსიე, შე მოგიტანეთ ის, რაც თქვენ ოდესღაც დაკარგეთ“, და ამ სიტყვებთან ერთად იატაკზე დავარდა. იმავე საათებში პარიზის გარეუბან სან ლუიში ცოლთან ერთდროულად მიღებული საწამლავით სიცოცხლეს ესალმებოდა უორუ დე გარანი“.

გაზეთი „პოლკსუბტიმედან“ ოთხგზის შოთა ამირანაშვილმა.



არშან იანვრისათვის ისინი თხოუმეტნი იყვნენ. იწყებოდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ბრძოლა. უკან დარჩა მერვედფინალური და მეოთხედფინალური ეტაპი. ახლა პრეტენდენტთა რიცხვი ოთხამდე შემცირდა. აი ისინიც: ანატოლი კარპოვი, არტურ იუსუპოვი, იან ტიმანი და ჯონათან სპილმენი. ამასთან, ცნობილია ისიც, რომ ოქტომბერში საბჭოთა მოჭადრაკეები ერთმანეთს ხედებიან, ტიმანის მეტოქე კი ინგლისელი დიდოსტატი იქნება. ერთი სიტყვით, პრეტენდენტთა რიცხვი მცირდება, ბრძოლა კი შესაბამისად მწვავედება. მართლაც, ვინ შეიძლება შეხვდეს 1990 წელს მსოფლიო ჩემპიონ ვარი კასპაროვს?

კასპაროვი და კარპოვი ერთმანეთს კი ებრძვიან, მაგრამ არც კიდევ ერთ ექს-ჩემპიონს, ბობი ფიშერს იფიწყებენ. 60-იან წლებში იყო ფიშერ-კარპოვის (თუნდაც ამხანაგური) მატჩის მოწყობის არაერთი ცდა. აქედან არაფერი გამოვიდა. ამას წინათ აშშ-ში მყოფი კასპაროვი ასევე შეეცადა, შეხვედროდა მას, დაემყარებინა რაიმე კონტაქტი. არც აქედან გამოვიდა რაიმე, როგორც ცნობილია, 1975 წელს ფიდემ ფიშერს მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჩამოართვეს. შარშან აშშ-ს კონგრესმა დადგენილება გამოიტანა, ფიშერისათვის ეს წოდება დაებრუნებინა! დიან, მაგრამ თუკი იგი საერთოდ აღარ თამაშობს ჰადრაკს?! ეს, რა თქმა უნდა, საჭადრაკო სამყაროსათვის დიდი დანაკლისია და ამას ყველა აღიარებს კიდევ. ჯაკომო მეიერბეერი თავის დროზე ამბობდა: „იქ, სადაც ჩვენი ფანტაზია თავდებოდა, იქ იწყებოდა... ნიკოლო პაგანინი!“ ფიშერი, თუ გნებავთ, საჭადრაკო სამყაროსათვის იგივე პაგანინი გახლავთ!

ამ არცთუ ღირსეული გადახვევის შემდეგ ისევ პრეტენდენტების საქმეებს დავუბრუნდეთ. კარპოვს სხვებთან შედარებით ერთი შეღავათი ჰქონდა. იგი ბრძოლაში მერვედფინალიდან კი არა, მეოთხედფინალიდან ჩაება. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ახალგაზრდა ისლანდიელმა იოჰან ჰიარტარსონმა ვერ გაუწვია ექს-ჩემპიონს ღირსეული წინააღმდეგობა. პირველ, სწრაფ ყაიშს ისლანდიელის ორი სწრაფი „ნოკაუტი“ მოჰყვა, ამას კიდევ ორი ყაიში და მატჩიც ვადაზე ადრე დამთავრდა (3,5:1,5).

მართლაც, რა უნდა დაუპირისპიროს კარპოვს არტურ იუსუპოვმა.

მიმომხილველთა უმრავლესობა აშკარად, მიუკიბ-მოუკიბავად გამოთქვამს თავის აზრს ამ ორთაბრძოლის შესახებ — გაიმარჯვებს კარპოვი. მართლაც, ამ მატჩის ყოველი სხვაგვარი შედეგი დიდი სენსაცია იქნებოდა.

რა შეიძლება ითქვას მეორე, ტიმან-სპილმენის მატჩზე, რომელიც ოქტომბერში ლონდონში, იმავე დარბაზში გათამაშდება?

ის, რასაც ტიმანი ადრე ვერ ახერხებდა 1986 წლიდან მოყოლებული, უკვე მისთვის სავსებით ხელმისაწვდომი გახდა. ამ წელს მან გაიმარჯვა ჯერ საზონათშორისო შეჯიბრებაში, შემდეგ პრეტენდენტთა ტურნირში (ახლა ასეთი შეჯიბრება აღარ ტარდება) და ოფიციალურად აღიარებულ იქნა მსოფლიო ჩემპიონის ოთხთავან ერთ პრეტენდენტად. მათ უკვე მატჩებში უნდა გაეგრძელებინათ ბრძოლა. ტიმანმა მამინ სწორედ ასეთი მატჩი წააგო იუსუ-

პოვთან, თუმცა თავდაპირველად მის შესაძლებლობებს უკეთესადაც კი თვლიდნენ.

1987 წელს შეუპოვრობით განთქმულმა პოლანდიელმა ყველაფერი თავიდან დაიწყო, ისევ გაიმარჯვა საზონათშორისო ტურნირში, უფლება მიიღო, ეთამაშა პრეტენდენტთა ასპარეზობაში, სადაც ჯერ სალოვს მოუგო მატჩი და შემდეგ პორტიუს. საინტერესოა, რომ ორივე შეხვედრა მეტად შეუპოვრად, დაახლოებით თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ტიმანმა მხოლოდ უკანასკნელი, მეექვსე პარტიების მოგებებით მიადგინა მიზანი. ამ მატჩებში მან მდიდარი ფანტაზია და ძალიან კარგი თეორიული მომზადება გვიჩვენა, რასაც დიდი სიმტკიცე და სიძნელეების გადალახვის უნარიც უნდა დავუმატოთ.

ნერვულ დაძაბულობას, მაშინ, როდესაც თავშეკავებულმა სპილმენმა ყველა შესაძლებლობა გამოიყენა. მეოთხედფინალში სპილმენს შეხვდა მისი ძირითადი მამულე, ინგლისური ჰადრაკის დიდი იმედი ნაიჯელ შორტი. საინტერესოა, რომ შორტი მანამდე ყველგან უსწრებდა სპილმენს, იგი ინგლისის ნაკრების პირველ დავაზე თამაშობს, სპილმენი კი მეორეზე. ამასთან, შორტი მეტოქეზე 11 წლით ახალგაზრდაც არის. ყოველივე ეს წინასწარი უპირატესობა მატჩში სულაც არ ასახულა და სპილმენმა გაიმარჯვა ანგარიშით 3,5:1,5 (ორი მოგება და სამი ყაიში). იგივე „შახოვსკი გლასნიკი“ წერდა: „წააგო მოჭადრაკემ, რომელსაც ბევრი ფავორიტად მიიჩნევდნენ. შეიძლება ეს იმიტომაც მოხდა, რომ იგი მეტისმეტად ოპტიმისტურად იყო განწყობილი. ასე

# რეჟისა ოთხი პრეზენდენტში

ტიმანის მომავალი მეტოქე ჯონათან სპილმენი არც ისე ახალგაზრდაა, მაგრამ საჭადრაკო ელიტას, არც ისე დიდი ხანია მიეკუთვნება. საქმე ის არის, რომ ადრე სპილმენი მათემატიკის პროესორი იყო და ჰადრაკს დიდ ყურადღებას ვერ უთმობდა. მას შემდეგ, რაც 1984 წელს ინგლისის ნაკრებმა სალონიკის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა (ასეთივე შედეგი მოიტანა ინგლისელთა გამოსვლამ 1986 წელს დუბაისა და 1988 წელს კვლავ სალონიკში), სპილმენმა გადაწყვეტილება მიიღო, პროფესიონალი მოჭადრაკე გამხდარიყო: 1987 წელს ინგლისელმა ჩინებულად ეთამაშა საზონათშორისო ტურნირში და პრეტენდენტთა ასპარეზობაში გამოსვლის უფლება მიიღო. ამასთან, ყურადღება მიიპყრო არა მარტო დიდმა სპორტულმა მიღწევამ, არამედ ახალი პრეტენდენტის საინტერესო, შემოქმედებითმა თამაშმაც. ხომ ჰქონდა ომამდე დიდი ავტორიტეტი გამოჩენილ ვენელ დიდოსტატ რუდოლფ შპილმანს. და აი უურნალისტებმა მიიჩნიეს, რომ მას სულაც არ ჩამოუფარდება ახლანდელი ინგლისელი მოგვარე ჯონათან სპილმენი!

საინტერესოა, რომ დღემდე სპილმენმა პრეტენდენტთა ასპარეზობაში ორი მატჩი მოიგო მაშინ, როდესაც ორივე შემთხვევაში წინასწარ მისი შესაძლებლობები უარესად იყო მიჩნეული. მერვედფინალში სპილმენის მეტოქე იყო იასერ სეირავანი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია აშშ-ის № 1 მოჭადრაკედ ითვლება. შედეგი — 4:1 სპილმენის სასარგებლოდ (3 მოგება და 2 ყაიში) მართლაც რომ მოულოდნელი იყო. აი რას წერდა მის შესახებ ზაგრების საჭადრაკო ურნალი „შახოვსკი გლასნიკი“: „შეიძლებოდა იმის შემჩნევა, რომ სეირავანი ვერ უძლებდა



იყო თუ ისე, სპილმენმა დაიმსახურა თავისი ახალი წარმატება“. რა თქმა უნდა, აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ სპილმენს პრეტენდენტთა ორ მატჩში გამართული 10 პარტიდან ერთიც კი არ წაუგია.

მაშ ასე, ტიმანი თუ სპილმენი? ბევრი მიმომხილველი ერთგვარ უპირატესობას ტიმანს ანიჭებს, ჩვენ კი ამ მომავალი მატჩის შედეგი სავსებით ბუნდოვნად გვეჩვენება. პროგნოზი პრეტენდენტთა მატჩების წინ საკმაოდ არასაიმედო რამ გახლავთ. ასე რომ, სჯობს, დაველოდოთ ამ მეტისმეტად საინტერესო შეხვედრებს, რომლებზედაც ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

გივი გამრეკელი

# ქალაქი დოსკოვი



## ჩაბმწარმის

ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი ჯეკი ჯონინერ-კერსი ამერიკელმა სპორტულმა უურნალისტებმა გასული წლის №1 სპორტსმენად აღიარეს. მას ბროლის მშვენიერი თასი გადაეცა, რომელიც 15 ათასი დოლარს ღირდა. | ჯონინერ-კერსი საჩუქრით მეტად კმაყოფილი დარჩა.

გავიდა სულ ორიოდე დღე და, ჯონინერ-კერსის ეს მშვენიერი თასი მოჰპარეს. მას სპორტსმენის ახალი მანქანაც მიეყოფს.

## დიდად დაფასდა

მას შემდეგ, რაც 42 წლისა გახდა, აშშ-ში დიდად პოპულარულმა კალათბურთელმა კარიმ აბდულ ჯაბარმა გადაწყვიტა სპორტული გამოსვლების შეწყვეტა. კლუბმა „ლიეკერსმა“, სადაც განთქმული კალათბურთელი გამოდიოდა, მას ახალთახალი „როლს-როისი“ აჩუქა. ქუჩას, რომელზედაც სპორტული დარბაზი „ფორუმი“ იმყოფება, ამიერიდან „კარიმ აბდულ ჯაბარ ავენიუ“ ეწოდა. ჯაბარს მოსალოცი დეპეშა გამოუგზავნა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა.

## შტეფი გრაფი — კინომსახიობი

გამოჩენილ დასავლეთგერმანელ ჩოგბურთელს, მსოფლიოში უძლიერეს შტეფი გრაფს ამას წინათ დებიუტი ჰქონდა, როგორც... კინომსახიობს. გრაფი მთავარ როლს თამაშობს კინოკომედიაში, რომლის პრემიერაში თვითონვე გახლავთ.

შტეფი გრაფის სპორტული გამოსვლების კალენდარი ისე მჭიდროა, რომ მას არ უნდოდა კინოკომედიაში მონაწილეობა, მაგრამ უარი ვერ უთხრა მსახიობ ოტო ვალკეს, რომელიც მამამისის მეგობარი გახლავთ.

## მარადონას ბანცხადება

როგორც განთქმულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ უურნალისტებს განუცხადა, მისი კონფლიქტი „ნაპოლის“ ხელმძღვანელობასთან დასრულდა, ყველაფერი მოგვარდა და იგი 1993 წლამდე ამ გუნდში რჩება. როგორც კი შეიტყო, რომ ბუენოს-აირესში მეორე ქალიშვილი — იამინა შეეძინა, ფეხბურთელმა თქვა, რომ სექტემბერში ცოლად შეირთავს იამინას დედას — კლაუ-

დია ვილიფანეს, რომელთანაც უკვე ჰყავდა ერთი ქალიშვილი — დალმა.

## რა მარცხი შეეშინება!

1987 წელს ბრაზილიელი ლუის ბატისტა ფრაიტასი სპეციალურ კონკურსზე აღიარებული იქნა მსოფლიოში ყველაზე უფრო ღამაზ მამაკაცად კულტურისტებს შორის. ამის შემდეგ ფრაიტასმა არაერთ საჩვენებელ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა.

ამას წინათ ფრაიტასი კოლომბოსში (აშშ) ჩავიდა, სადაც ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მას სასტუმროში უპოვეს 500 სტეროიდული აბი, ამბულეები, რომლებიც ხელს უწყობენ მუსკულატურის განვითარებას. მსოფლიოს „ყველაზე ღამაზი მამაკაცი“ მყისვე დააპატიმრეს. ამასთან, იგი ამტკიცებდა, რომ ცხოვრებაში არასოდეს მიუღია ასეთი აბები, არამედ მხოლოდ ვაჭრობს ამით.

## ყველაზე კოკპულარული

ჩოგბურთი და სპორტული ტანვარჯიში — აი სპორტის ორი ყველაზე უფრო პოპულარული სახეობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.


თუ 1980 წელს ამ ქვეყანაში ჩოგბურთის 1.269.233 კაცი მისდევდა, 1988 წლისათვის მათი რიცხვი 2.025.436-მდე გაიზარდა (ე. ი. 59,57 პროცენტით). 1980 წელს სპორტულ ტანვარჯიშს 3.066.655 კაცი მისდევდა, 1988 წელს კი 3.779.505 (23,24 პროცენტით მეტი). მესამე ადგილზეა ფეხბურთი, რომელსაც 1980 წელს 4 321 804 მიმდევარი ჰყავდა, 1988 წელს მათმა რიცხვმა 4.767.028-ს მიაღწია.

## უცხოელაგის იმედით

როგორც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი 1989-90 წლის სეზონიდან ამ ქვეყნის თითოეულ კლუბს ნება ეძლევა ორის ნაცვლად გამოიყენოს სამი უცხოელი მოთამაშე, 1990-91 წლების სეზონიდან კი — ოთხი.

ამ ცნობას უნდა დავუკავშიროთ მიუნხენის „ბაიერნის“ მენაჯერ ული ჰიონესის განცხადებაც გალადგომის შესახებ. მან თქვა, რომ ფულს არავინ აძლევს უცხოელი მოთამაშეების შესაძენად, გერმანელი მოთამაშეებით კი შესაძლებელია, ქვეყნის ჩემპიონი გახდეს, მაგრამ ევროპულ ფეხბურთში ვერაფერს გააწყობო.


# ქალაქი დოსკოვი



წალენჯიხელი გოლიათი.  
ფოტო ბონდო დვალისვილისა.



მე პირველი ვარ!  
ფოტო ოტიუდი სერგო ელიშერაშვილისა.



**თარგმანად:** 4. ნიავი; 6. დროის მონაკვეთი, ხანა; 13. სამეცნიერო კვლევათი ან პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მოსამზადებელი პირი; 16. ნივთიერება, რომელიც არ ატარებს ელექტროენერგიას; 18. შედარებით სუსტი მონაწილისათვის მიცემული უპირატესობა; 21. სტუდენტების ფულადი დახმარება; 28. განსაკუთრებული ნიჭი; 31. მდინარე სსრ კავშირსა და ჩინეთში.

**შვებულად:** 1. პარკოსანთა ოჯახის ბალახი; 2. ერთზე მეტი ფუძისაგან შემდგარი სიტყვა; 3. სასტამბო შრიფტი; 4. ტვირთის საკიდარი ხარი; 5. ნუსხა, წერილობითი ჩამოთვლა; 6. ინდოელი კინორეჟისორი; 7. გარკვეული კლასის პოლიტიკური პარტიის იდეა. შეხედულებათა სისტემა; 8. საშუალო სასწავლებელი რევოლუციამდელ რუსეთში.

**რატალურად:** 1. გამოსახულების ანბანული ქალაქი გაკეთებული მხატვრის მიერ გადაღებული ფორმისა; 2. დრამატული ნაწარმოები; 3. ჯადრაკის ფიგურა; 4. წერილობითი თხოვნა, საჩივარი; 5. კრილობა; 6. თავადის ტიტული ინდოეთში; 7. უილიამ შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი; 8. ცხოველის დასაქერი მოწყობილობა; 9. დასასვენებელი ადგილი; 10. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 11. შექსპირის ტრაგედიის პერსონაჟი; 12. მრავალწლიანი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარე; 13. კავკასიის მთიელთა სოფელი; 14. მოჭრილი მსხვილი ხე; 15. აღმოსავლური სევდიანი სიმღერის კილო; 16. ამერიკის ქალაქი; 17. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 18. გდრ-ის ქალაქი; 19. იალქნის დასამარებელი მაღალი ძელი; 20. მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი.

**შეადგინა ცილა აპაშუქაძე**



ქართული  
შეკრებილია

პლაკატს უმისწევლოვანესი როლი ენიჭება ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. მისი დანიშნულებაა ააღელვოს მნახვეველი და, რაც მთავარია, წარმოგვიდგინოს დღევანდელი პრობლემა, აქტუალური საკითხი, უკვე გადაჭრილი თუ გადასაჭრელი, წარმოსახოს მომავალი და წარსულისაკენ მიახედოს ადამიანი.

სწორედ ასეთი მრავალფეროვანი ტექნიკით შექმნილ პლაკატებს შევხვდით მხატვრის სახლის საექსპოზიციო დარბაზებში, სადაც წარმოდგენილი იყო ათი ქართველი პლაკატისტი-მხატვრის პირველი რესპუბლიკური გამოფენა. გამოფენა სხვადასხვა დროს ექსპონირებული გახლდათ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საერთაშორისო ბიენალესა თუ კონკურსებზე და არაერთხელ აღნიშნულა პრიზებითა და წამახალისებელი პრემიებით. ყურნალის ამ ნომერში წარმოდგენილია გამოფენის ერთ-ერთი მონაწილის მხატვარ-პლაკატისტის თენგიზ ქართველიშვილის ნამუშევრები.

თენგიზ ქართველიშვილი თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით ძიებაშია, მუშაობს გრაფიკაში, ხოლო ძირითადად პლაკატში. ათ წელზე მეტია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მთავარი მხატვარია. არის ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ მხატვრული რედაქტორი. მის პლაკატებს ხშირად ვხვდებით ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში. 1989 წელს მიენიჭა წლის საუკეთესო მხატვრის ლაურეატის წოდება. ოთხჯერ მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

თენგიზ ქართველიშვილის შემოქმედება უაღრესად მრავალწახნაგა და მდიდარი, მაგრამ მისი ინდივიდუალობის განმსაზღვრელი მაინც პლაკატია, პოლიტიკური იქნება იგი თუ თემატური, თეატრალური თუ სადღესასწაულო. მისი ნამუშევარი გამოირჩევა მაღალი მხატვრული ოსტატობით, გემოვნებითა და პოეტურობით, იდეისა და გამოსახვის ფორმის ჰარმონიული შერწყმით, აზრის მიზანსწრაფვით, ნახატისა და ტექსტის ლაკონურობით, სიტყვისა და ფერის შეხამებით.

თავისთავად ყოველი პლაკატი სიამოვნების მომგვრელი მხატვრული სურათია, რომლის ხილვა ესთეტიკურ კმაყოფილებას ჰკვრის ადამიანს. ისინი მხატვრის მდიდარ ფანტაზიაზე მიუთითებს და ისტორიული მასალის საფუძვლიან ცოდნას მოწმობს. პლაკატები მთლიანად განმსჭვალულია ეროვნული სულით, და ხშირად თან სდევს ქართველ პოეტთა ღრმაზოროვანი, უკვდავი სტრიქონები. მხატვარი ცდილობს, ღრმად და ემოციურად ჩაწვდეს ყველა თემას. დიდსა და მღელვარე გრძნობებს ისეთი ხატოვნებით ვადმოსცემს, რომ ყველასათვის გასაგები ხდება მის მის შექმნილი პლაკატი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თენგიზ ქართველიშვილი თანამედროვე ქართული პლაკატის ერთ-ერთი წამყვანი და თვალსაჩინო ოსტატია.

**ნანა ნაცვლიშვილი.**

**მე-8 ნომერში გამოქვეყნებულია კროსვორდის პასუხები.**

**თარგმანად:** 5. ქიშია; 6. მატლი; 10. ევოლუცია; 11. ნაკადული; 13. ეპოპეა; 14. ციციანთელი; 15. ბასმა; 17. ლიმონი; 19. ხორმანტია; 23. ანისი; 27. კანიბალიზმი; 28. ელექტროლიზი; 30. მიქსტურა; 31. სიო; 32. კონტროლი; 33. ნოე; 36. ლინჯა; 37. გოია; 38. ფურცლი; 41. მკა; 42. ჩათვლა; 43. სოკო; 44. იონი; 45. რიგოლეტო; 47. არაუანი; 48. ევა.

**შვებულად:** 1. ჭიხური; 2. ციხისძირი; 3. ჭომოლუნგმა; 4. სტოკჰოლმი; 6. მინა; 7. იუდა; 8. როე; 9. ელიტა; 12. აპენდიქსი; 16. სენსიბონი; 18. მხარი; 19. ხეივანი; 20. რომი; 21. ნალი; 22. ანტიოქე; 24. სხივი; 25. ვაკუუმი; 26. მონტეგო; 29. ჭიანჭველმუცა; 34. ელბა; 35. კამა; 39. რკო; 40. ეზო; 42. ჩაი; 44. იოლი; 45. (რუ; 46. გერი.

**ბარბანის პირველსა და მეორეს ბპარღებზე:** თენგიზ ქართველიშვილის ნამუშევრები.  
ჩანართის მეორეს ბპარღზე: უილიამ ბარქლეის წიგნის გარეკანი. ფოტო იური რიდალოვისა.

გადაეცა წარმოებას 21. 07. 89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 08. 89. უე 09430 ქალაქის ზომა 70x108/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,89. ტირაჟი 50.000 შეკვეთა 1735. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგებების 9328-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.



**რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.**

თბილისის პროსპექტი



უიტი ბონდი ფაქტობრივად

ბაბუა და ბებია  
და ბაბუა და ბებია  
და ბაბუა და ბებია  
და ბაბუა და ბებია



ბ 76/122

ინფანტი 76056